

DEutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung

8/2025

შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი

სტატიები

არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანის გამოთვლა ზიანის მიმყენებლის მიერ მიღებული მოგების მიხედვით

ულრიხ ჰაგენლოხი / გიორგი რუსიაშვილი

„ემოჯი“ სამართლის წინაშე – ციფრული სიმბოლოები სამართალში

ქეთევან კვინიკაძე

ხელოვნური ინტელექტი და შრომითი დისკრიმინაცია

ილია ბეგიაშვილი

Coase's Theorem: A Pathway to a Controlled Economy

Gocha Okreshidze

Security Council Member's Arbitrary (Unreasonable) Veto as a Violation of Jus Cogens Norms?

Oleg Tortladze

ბლოგი

Lex F1

ლევან ნანობაშვილი

სასამართლო პრაქტიკა

პრივატიზაცია, როგორც საჯაროსამართლებრივი აქტი

(ზარანდია)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურება


(ზარანდია)

8/2025

შვედრაგბიტი სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)
ISSN 2667-9817 (ელექტრონული)
© ავტორები, 2025
www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

დავით მაისურაძე
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი

გამომცემლები

მოსამართლე ულრიხ ჰაგენლოხი
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი ჟორჟოლიანი
სულხან გველესიანი
ხათუნა დიასამიძე
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი †
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
ნატალი გოგიაშვილი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბათიაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე

სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია

სარჩევი

სტატიები

არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანის გამოთვლა ზიანის მიმყენებლის მიერ მიღებული მოგების მიხედვით <i>გიორგი რუსიაშვილი / ულრიხ ჰაგენლოხი</i>	7
„ემოჯი“ სამართლის წინაშე – ციფრული სიმბოლოები სამართალში <i>ქეთევან კვინიკაძე</i>	79
ხელოვნური ინტელექტი და შრომითი დისკრიმინაცია <i>ილია ბეგიაშვილი</i>	33
Coase's Theorem: A Pathway to a Controlled Economy <i>Gocha Okreshidze</i>	55
Security Council Member's Arbitrary (Unreasonable) Veto as a Violation of Jus Cogens Norms? <i>Oleg Tortladze</i>	79

ბლოგი

Lex F1 <i>ლევან ნანობაშვილი</i>	88
---	----

სასამართლო პრაქტიკა

პრივატიზაცია, როგორც საჯაროსამართლებრივი აქტი (ზარანდია)	93
სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურება (ზარანდია)	95

არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანის გამოთვლა ზიანის მიმყენებლის მიერ მიღებული მოგების მიხედვით

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ულრიხ ჰაგენლოხი
დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს პრეზიდენტი (პენსიონირებული)

A. არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანი: ზოგადი ნორმატიული ჩარჩო

არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანი და მისი გამოთვლის კრიტერიუმები ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განხილული არ არის და არ არსებობს ამასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა. ამის საპირისპიროდ, გერმანული პრაქტიკა და სამეცნიერო ლიტერატურა საკმაოდ დეტალურ სურათსა და ჩამონათვალს გვთავაზობს იმ კრიტერიუმებისა, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს დაუშვებელი კონკურენციით მიყენებული ზიანის ოდენობის დაანგარიშება. ამ გამოთვლის ერთ-ერთ კრიტერიუმად, რომლის სასარგებლოდაც, ცალკეულ შემთხვევებში, მოქმედებს პრეზუმფცია, მიჩნეულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციით დაკავებული პირის მიერ მიღებული მოგება.¹ ეს არის ის სპეციალური წესი,

რომლის მეშვეობითაც მოდიფიცირდება სკ-ის 411-ე მუხლის (მიუღებელი შემოსავალი) კრიტერიუმები.

I. 411 2 მუხლის ადგილი და ფუნქცია ზიანის ანაზღაურების სამართლის დოგმატიკის ფარგლებში

მიუღებელ შემოსავალს, 408 I, 411 1 მუხლების მიხედვით, წარმოადგენს ყველა ქონებრივი პოზიცია, რის მიღებასაც დაზარალებული მოახერხებდა ზიანის გამომწვევი შემთხვევის დადგომის გარეშე.² შესაძლო ქონებრივი სარგებლის სპექტრი, რომელსაც დაზარალებული დამზიანებლის ქმედების გამო უშვებს ხელიდან, საკმაოდ ფართოა, მოიცავს როგორც შრომით შემოსავალს, ასევე ქონებრივი სიკეთეების რეალიზების შედეგად მიღებულ მოგებას.³

¹ იხ. BGH NJW 1996, 2098; BGH NJW 2014, 381; BGH GRUR 2016, 860; BGH NJW-RR 2001, 1542; OLG München, Endurteil vom 16.04.2015 - 23 U 352814; MüKoBGB/Oetker, 9. Aufl. 2022, BGB § 252 Rn. 37.

² რუსიაშვილი/ბათლიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), თბილისი 2019, მუხ. 411 ველი 10; BGH NJW-RR 1989, 981.

³ რუსიაშვილი/ბათლიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), თბილისი 2019, მუხ. 411 ველი 10; BGH NJW-RR 1989, 981.

1. შემოსავლის მიღების სავარაუდობა

411 2 მუხლი შეიცავს მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრის კრიტერიუმს. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელსაც მოვალე მიიღებდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.⁴ აქ მხოლოდ ზიანის (ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით) სავარაუდობის კრიტერიუმ⁵ ზიანის გამომწვევის ქმედების განხორციელებისათვის არ გამოგვადგება.⁶ მოგების რეალიზების შანსი უნდა განისაზღვროს რეტროსპექტიული პროგნოზის საფუძველზე, რა დროსაც გასათვალისწინებელია ზიანის მომტანი ქმედების შემდგომ მოვლენათა განვითარება.⁷ მაგალითად, ლატარიის მომგებიანი ბილეთის მოპარვის შემთხვევაში მიუღებელი შემოსავლის სახით ანაზღაურდება მთლიანი მოგება, მიუხედავად იმისა, რომ ქურდობის მომენტში ამ მოგების რეალიზების ალბათობა 1:10000 იყო.⁸ დამზიანებლის ქმედების შედეგად დაზარალებულის მიერ ხელიდან გაშვებული აქციების ღირებულების ზრდა (ე. წ. სპეკულაციური მოგება), მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ გათვლადი არ იყო, მაინც წარმოადგენს ანაზღაურებად მიუღებელ შემოსავალს, თუ აქციების ღირებულება რეალურად გაიზარდა და დაზარალებული მათში აპირებდა დამზიანებლისაგან მისაღები ფულის დაბანდებას.⁹

2. 411 2 მუხლი, როგორც ადეკვატურობის თეორიის მოდიფიცირება

შესაბამისად, ერთი მხრივ, სკ-ის 411 2 მუხლი რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მტკიცების ტვირთის შეტრიალებას ემსახურება.¹⁰ თუმცა მას აქვს მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსიც. კერძოდ, მიუღებელი შემოსავლის დადგენისას ჩვეულებრივი ადეკვატურობის კრიტერიუმი ვერ იქნება გამოსადეგი.¹¹ ამიტომაც ეს ნორმა წარმოადგენს ადეკვატურობის თეორიის¹² მოდიფიცირებას სპეციალურად მიუღებელი შემოსავლის შემთხვევისათვის.¹³ ადეკვატურობის კრიტერიუმი „ჩვეულებრივი“ ფორმით, მიმართულია უჩვეულო ზიანის ანაზღაურების გამორიცხვისაკენ – არ ანაზღაურდება ის, რაც ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით არასავარაუდო იყო. ამის საპირისპიროდ, სკ-ის 411 2 მუხლის მიზანია სწორედ ამ არასავარაუდო ზიანის შერაცხვა და ანაზღაურებად დადგენა, თუ ის სინამდვილეში რეალიზდა იმ „მიუღებელი შემოსავლის“ ფორმით, რომლის მიღებაც დაზარალებულს ჰქონდა დაგეგმილი (იხ. ზემოთ, ლატარიის ბილეთის მაგალითი). გადამწყვეტია, არა ის, თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონოდა და რა უნდა ევარაუდა, დამზიანებელს (ან მესამე პირს) ზიანის მიყენების მომენტში, არამედ ის, თუ რეალურად როგორ განვითარდა მოვლენები – მოვლენათა ალტერნატიული გა-

⁴ რა თქმა უნდა, 411-ე მუხლი ძალაშია არა მხოლოდ სახელშეკრულებო, არამედ ასევე დელიქტური ზიანის დროსაც. ამ შემთხვევაში „ვალდებულების ჯეროვანი შესრულების“ (როგორც ჰიპოთეტური ზიანის ათვლის წერტილის) ექვივალენტს პირის დელიქტური წესით დაცული სიკეთის არდაზიანება წარმოადგენს, *რუსიაშვილი/ბათლიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), თბილისი 2019, მუხ. 411 სქ. 11.

⁵ *რუსიაშვილი/ბათლიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), თბილისი 2019, მუხ. 412 მე-6 და მომდევნო ველი.

⁶ *რუსიაშვილი/ბათლიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), თბილისი 2019, მუხ. 411 ველი 8.

⁷ *რუსიაშვილი/ბათლიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), თბილისი 2019, მუხ. 411 ველი 8; *Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, München* 2007, § 31 Rn. 17.

⁸ *რუსიაშვილი/ბათლიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), თბილისი 2019, მუხ. 411 ველი 8; *Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, München* 2007, § 31 Rn. 17.

⁹ BGH NJW 1983, 758.

¹⁰ *რუსიაშვილი/ბათლიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), თბილისი 2019, მუხ. 411 ველი 9; *Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, München* 2007, § 31 Rn. 18.

¹¹ *რუსიაშვილი/ბათლიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), თბილისი 2019, მუხ. 411 ველი 9, 5.

¹² *რუსიაშვილი/ბათლიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), თბილისი 2019, მუხ. 411 ველი 9; მუხ. 412 მე-6 და მომდევნო ველი.

¹³ *Johannes W. Flume, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252 Rn. 16.*

ნვითარების რეტროსპექტიული შეფასება: გადამწყვეტია შეძლებდა თუ არა დაზარალებული ამ მოგების მიღებას და დაგეგმილი ჰქონდა თუ არა მას ეს და არა – ზოგადად ჩვეულია თუ არა ამ მოგების რეალიზება ამ ტიპის სიტუაციებში.

II. არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანი

არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანი წარმოადგენს მიუღებელი შემოსავლის ერთ-ერთ სპეციალურ შემთხვევას. აქ ზიანის კონკრეტული ოდენობის გამოთვლას/დამტკიცებას ართულებს ის გარემოება, რომ საქმე ეხება არა ერთი კონკრეტული ხელშეკრულების ან კლიენტის ხელიდან გაშვებას, არამედ კლიენტთა მთლიანი წრის, მათთან დასადები ათეულობით თუ ასეულობით ხელშეკრულების დაკარგვას, კომერციული ზრდის შანსის მოსპობას და ბევრ სხვა ისეთ უარყოფით შედეგს, რომელთა მათემატიკური სიზუსტით კალკულირება და დამტკიცება შეუძლებელია და მნიშვნელოვნად არის განპირობებული ე. წ. „ბაზრის დინამიკის“ კომპლექსურობით, რაც სამართლებრივ კატეგორიებში სრულად კონვერტირებადი არ არის. კომპანიისათვის, რომელიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შედეგად დაზარალებულია, შეუძლებელია აბსოლუტური სიზუსტით და თუნდაც დიდი ალბათობით, იმის დამტკიცება, რომ ის, კონკურენტების მხრიდან ამ უკანონო ქმედების გარეშე, სამომავლოდაც შეინარჩუნებდა ყველა არსებულ კლიენტს, მოიპოვებდა ახალ კლიენტებს, აითვისებდა ბაზრის ახალ სფეროებს, ზუსტად რამდენ პროცენტია ეკონომიკური ზრდა ექნებოდა და ა. შ. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შედეგად დაზარალებული ვერასოდეს ვერ მოიტანს იმავე სიზუსტის მტკიცებულებებს, ხელიდან გაშვებულ მოგებასთან დაკავშირებით, რისი მოტანაც შეუძლია სამუშაოდან არასწორად გათავისუფლებულ დასაქმებულს (მომდევნო თვეების ხელფასი, როგორც მიუღებელი შემოსავალი).

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევების ამავე მასშტაბით განსჯა და დაზარალებულისათვის იმავე ტიპის კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნა, რისი წარდგენაც შეუძლიათ ზემოთ ხსენებული ქმედებებით დაზარალებულ პირებს, იქნებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენტის პირდაპირი ნაქეზება ამ ქცევისაკენ: თუ დაზარალებულს სასამართლო მხოლოდ იმ კონკრეტული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას მიანიჭებდა, რომელიც უკვე არსებული კონკრეტული კლიენტის დაკარგვას უკავშირდებოდა და, ამასთან, იმ დათქმით, რომ ამ კლიენტის შენარჩუნება, დროის მხოლოდ მოკლე პერიოდში ჩაითვლებოდა „გარანტირებულად“ – არაკეთილსინდისიერი კონკურენტი მუდმივად მოგებული გამოვიდოდა ამ სიტუაციიდან. კერძოდ, არაკეთილსინდისიერ კონკურენტს, მისი ამ ქმედებების გამოაშკარავების შემთხვევაში (რაც ისედაც ყოველთვის არ ხდება და კიდევ უფრო ამცირებს არაკეთილსინდისიერის რისკს), მოუწევდა მხოლოდ მინიმალური მოგების დათმობა (გადაბირებული კონკრეტული კლიენტებისაგან მოკლე პერიოდში მიღებული შემოსავალი), ხოლო ყველაფერ სხვას, რაც, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვნად აღემატება კონკრეტული კლიენტების ღირებულებას, ის გარანტირებულად და შეუქცევად დაიტოვებდა. კერძოდ, მას დარჩებოდა: შემდგომი პერიოდის შემოსავალი გადაბირებული კლიენტებისაგან, ახალი კლიენტები, ასევე, ზოგადად, ბაზარზე მიმდინარე ხელსაყრელი პროცესებიდან და ცნობადობიდან გამომდინარე ბენეფიტები – ახალი ნიშის დაკავება, ხელსაყრელი კრედიტი, რისი ათვისებაც მხოლოდ გაფართოების სტადიაში მყოფ და აგრესიული მარკეტინგის მწარმოებელ კომპანიას შეუძლია და ა. შ.

ამ მოცემულობაში შეუძლებელია, საბაზრო კონკურენტს არ გაუჩნდეს სურვილი და ცოტუნება არაკეთილსინდისიერი ქმედებებისთვის, თუ სამართალი საშუალებას მისცემდა მას დაუსჯელად შეენარჩუნებინა აქედან მიღებული ძირითადი მოგება. ხელყოფის კონდიქცია (სკ-ის 982 I, 985-ე მუხლები), მართალია, იძლევა ხელმოყვისაგან მთლიანი მოგების (უფლებამოსილი პი-

რის ზიანთან კორელაციის გარეშე)¹⁴ „ამოქაჩვის“ შესაძლებლობას, თუმცა ის ყოველთვის ვერ იქნება აღწერილი ტიპის შემთხვევების გადანაცვების ქმედითი ინსტრუმენტი, რადგან ხელყოფის კონდიქციის წინაპირობა, „სხვისთვის მიკუთვნებული უფლების დაცულ სფეროში ჩარევა“¹⁵ (აბსოლუტური ან მის მსგავსად ექსკლუზიურად მიკუთვნებული უფლების ხელყოფა), არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, არ არის ხოლმე სახეზე.

1. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მოგებისა და დაზარალებული კომპანიის ზიანის იდენტიფიკაცია - BGH GRUR 2016, 860

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში, აღიარებული პრინციპია, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციით გამოწვეული ზიანის გამოთვლა უნდა მოხდეს აბსტრაქტულად. კერძოდ, სკ-ის 411 2 მუხლში უკვე ისედაც შერბილებულია „სავარაუდოობის“ კრიტერიუმი და დაზარალებულის სასარგებლოდ შებრუნებულია მტკიცების ტვირთი (იხ. ზემოთ). გერმანული სასამართლო, კიდევ უფრო მეტად აბრუნებს და უმარტივებს დაზარალებულს მტკიცების ტვირთს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევაში, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფზე მითითებით, რომელიც განსაკუთრებულ დისკრეციას ანიჭებს მოსამართლეს, შინაგან რწმენაზე დაყრდნობით, მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენისას.¹⁶ როდესაც სხვა შემთხვევაში აუცილებელია სასამართლოსათვის ისეთი მტკიცებულებების წარდგენა, რომელიც მხოლოდ მინიმალური ეჭვის ადგილს ტოვებს დასადასტურებელი ფაქტის არსებობაში (an Sicherheit grenzende Wahrscheinlichkeit), აქ საკმარისია უკვე იმ ტიპის მტკიცებულებებიც, რომელიც, მხოლოდ და

მხოლოდ, გადანონის მეორე მხარის პოზიციასა და მათ მიერ მოყვანილ მტკიცებულებებს (eine mehr oder minder hohe, mindestens aber überwiegenden Wahrscheinlichkeit).¹⁷

ამგვარად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანის გამოთვლისას სასამართლო, სკ-ის 411 2 მუხლზე დაყრდნობით, პირველ რიგში, დაზარალებულის სასარგებლოდ, ზიანის ადეკვატურობას აფასებს რეტროსპექტიულად – ანაზღაურებადია ასევე ის მიუღებელი შემოსავალიც, რომლის მიღების მხოლოდ თეორიული შანსი არსებობდა, თუმცა დაზარალებული ამ შანსის რეალიზებას აპირებდა და შემდგომში ეს შანსი მართლაც რეალიზდა. ეს საერთოა ყველა ტიპის მიუღებელი შემოსავლისათვის (იხ. ზემოთ). თუმცა, ამის გარდა, სპეციფიკურად დაუშვებელი კონკურენციის შემთხვევებისათვის, დამატებით კიდევ ატრიალებს მტკიცების ტვირთს დაზარალებულის სასარგებლოდ. ამ პრინციპების კონკრეტულ შემთხვევაზე მორგებისას გერმანულმა სასამართლომ¹⁸ ააგო შემდეგი მსჯელობა – საქმე ეხებოდა კეთილსინდისიერი კონკურენციის წესების დარღვევით იდენტიფიკაციის პარალელური საიმპორტო ხაზის გახსნას ნიდერლანდური კომპანიის მხრიდან, რომელმაც დააზარალა გერმანული კომპანია. გერმანიის სასამართლომ აქ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით:

[26(1)] „[გერმანიის] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287 | პარაგრაფის მიხედვით, სასამართლომ უნდა შეაფასოს ზიანის ოდენობა და დასაშვებია, რომ ამის შედეგი აბსოლუტურად ზუსტი არ იყოს.¹⁹ ამ პროგნოზის გაკეთება, მართალია, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც დაზარალებული ზიანის არსებობის გამამყარებელ კონკრეტულ გარემოებებზე მიუთითებს და დაამტკიცებს

¹⁴ რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 87-ე და მომდევნო გვერდები.

¹⁵ რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი 2020, 101-ე და მომდევნო გვერდი; რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2019, 50-ე და მომდევნო გვერდი.

¹⁶ BGH GRUR 2016, 860; BGH NJW 2014, 381; BGH NJW 1996, 2098; BGH NJW 1964, 817; Baumbach/Hopt, HGB, 35. Aufl., § 86 Rn. 32.

¹⁷ BGH GRUR 2016, 860.

¹⁸ BGH GRUR 2016, 860.

¹⁹ BGH, NJW 1964, 589; Zöller/Greger, ZPO, 31. Aufl., § 287 Rn. 2.

მათ; თუმცა ამ გარემოებებზე მითითების ტვირთს არ შეიძლება წაეყენოს ზედმეტად მაღალი მოთხოვნები²⁰“.

[27(b)] „გამართულია მოსარჩელის მსჯელობა, როდესაც მან მისი ზიანის ოდენობის გამოსათვლელად მიუთითა არაკეთილსინდისიერი კონკურენტის მიერ შხამქიმიკატების გაყიდვით მიღებულ მოგებაზე. მართალია, ასე უბრალოდ არ შეიძლება პირდაპირ იმის დაშვება, რომ დაზარალებული სრულად მიიღებდა იმ მოგებას, რაც არაკეთილსინდისიერმა კონკურენტმა მიიღო, თუმცა ამ უკანასკნელის სავაჭრო ბრუნვა წარმოადგენს დაზარალებულის მიერ დაკარგული მოგების განსაზღვრის ამოსავალ წერტილს“.

[43bb)] „ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომ კლიენტი, რომელიც კონკრეტულ პროდუქტს ყიდულობს, ერთ-ერთი იმპორტიორის გამოთიშვის შემთხვევაში, გადაერთვება იმავე პროდუქტის სხვა მიმწოდებელზე და არ ირჩევს ალტერნატიულ პროდუქტს. სააპელაციო სასამართლოს არ ევალებოდა ამ გარემოების დეტალური გამოკვლევა, არამედ შეეძლო, გსკ-ის 252 2 პარაგრაფის [= სკ-ის 411 2 მუხლი] საფუძველზე, დაედო ეს [პრეზუმირებული] გარემოება მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის გამოთვლის საფუძველად“.

მოცემულ საქმეში გერმანიის უმაღლესი ფედერალურმა სასამართლომ, პირველი და მეორე ინსტანციების საპირისპიროდ, დაადგინა, რომ მოსარჩელის ზოგადი მითითება იმ ფაქტზე, რომ ბაზრიდან (დაუშვებელი მეთოდებით) განდევნამდე ის ამ ბაზრის 77,7% აკონტროლებდა არ იყო საკმარისი ამ განდევნის შემდეგ არაკეთილსინდისიერი კონკურენტის მიერ მიღებული მოგების 90%-ის მის ზიანად დაკვალიფიცირებისათვის. ბაზარზე დავის მიმდინარეობის დროისთვის არსებობდა, იდენტური პროდუქტის, სულ მცირე ხუთი სხვა მიმწოდებელი და არ არის გამორიცხული, რომ ზიანის მომტანი ქმედების განხორციელების მომენტში ეს რიცხვი უფრო მაღალი ყოფილიყო, რადგან წინა

წლებში შესაბამისი სავაჭრო ლიცენზიის მიღება უფრო მარტივად შეიძლებოდა და ა. შ. ამ გარემოებების გათვალისწინებით ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ბაზრის მდგომარეობის დეტალური გამოკვლევის მიზნით საქმე უკან დაუბრუნა ქვედა ინსტანციას.

ეს გადაწყვეტილება, დამოუკიდებლად მისი კონკრეტული დეტალებიდან გამომდინარე შედეგისა, მოცემულ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აქ ნათელყოფილია ის სამუშაო ჰიპოთეზა, რითაც იწყებს გერმანული სასამართლო არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანის გამოთვლას – ეს არის არაკეთილსინდისიერი კონკურენტის მიერ მიღებული მოგება. მართალია, ამ უკანასკნელს შეუძლია, კონკრეტული მტკიცებულებების მოყვანის გზით, გააქარწყლოს ზიანისა და მოგების კორელაციის პრეზუმცია – მაგალითად, მიუთითოს იდენტური პროდუქტის ალტერნატიულ და არანაკლებ ხელსაყრელ მიმწოდებლებზე – თუმცა ამ პრეზუმფციას ის ვერ გააქარწყლებს ალტერნატიული პროდუქტის მიმწოდებლებზე მითითებით. ამის საპირისპიროდ, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კლიენტურა ერთი და იმავე პროდუქტის ერთგული რჩება და კონკურენტის, დაუშვებელი გზებით განდევნის შემთხვევაში, ამ არაკეთილსინდისიერ აქტორთან ინაცვლებს, თუ ის იდენტური პროდუქტით ვაჭრობს. ეს ყოველივე ნიშნავს იმას, რომ, თუ ბაზარზე ორი მოთამაშეა, ერთის განდევნის შემდეგ მეორის გაზრდილი მოგება პირველის ზიანად პრეზუმირდება. ხოლო, თუ ბაზრის ერთადერთი აქტორის სრული ან ნაწილობრივი ჩანაცვლება ხდება დაუშვებელი მეთოდებით, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ არაკეთილსინდისიერი ახალი მოთამაშის მთლიანი მოგება პირველი აქტორის ზიანია. რა თქმა უნდა, არაკეთილსინდისიერი კონკურენტს შეუძლია ამ პრეზუმფციის გაქარწყლება იმაზე მითითებით, რომ მან, მაგალითად, პროდუქტის გაიაფებით შეძლო მომხმარებლის ახალი სეგმენტის დაინტერესება, რასაც განდევნილი კონკურენტი, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ შეძლებდა და ა.შ., თუმცა ბაზრის თავისთავადი, იმანენტური

²⁰ BGH, GRUR 2008, 933 Rn. 19.

ზრდის შესაძლებლობა მოქმედებს, პირველ რიგში, არაკეთილსინდისიერი მეთოდებით განდევნილის სასარგებლოდ. სწორედ ამ საკითხს და მოცემულ კონტექსტში მნიშვნელოვან კიდევ ერთ დამატებით პრობლემას შეეხება ქვემოთ მოყვანილი სასამართლო გადაწყვეტილებები.

2. საზოგადოების ორგანოს მხრიდან ერთგულების ვალდებულების დარღვევა - BGH, NJW 1996, 2097

ზემოთ აღწერილი შემთხვევისაგან გასამიჯნი და ცალკე განსახილველია შემთხვევა, როდესაც არაკეთილსინდისიერი კონკურენციით დაკავებულია არა სხვა საწარმო, არამედ უშუალოდ დაზარალებული კომპანიის ორგანო, როგორც არის, მაგალითად, კომპანიის დირექტორი ან სავაჭრო წარმომადგენელი და ამ ქმედებით არღვევს არა მხოლოდ კონკურენციის შესახებ რეგულაციებს, არამედ, ასევე, ერთგულების ვალდებულებას საზოგადოების წინაშე. აქ ზიანისა და მოგების კორელაცია დამატებით გამყარებულია იმ ფაქტით, რომ ზიანი იმ პირის ქმედებით არის გამოწვეული, რომელსაც ევალებოდა დაზარალებული საზოგადოების სასარგებლოდ მოქმედება და საკუთარი უნარების მის სამსახურში ჩაყენება და სავარაუდოა, რომ მისი აქტივობა, სულ მცირე, ისეთივე ეფექტური იქნებოდა დაზარალებულისთვის, როგორიც იყო მისი კონკურენტისთვის.

სამენარმეო საზოგადოების დირექტორს, პირდაპირ კანონით (იხ. მენარმეთა შესახებ კანონის ახალი რედაქციის 53-ე მუხლი), ეკრძალება იმავე საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელება ან იმავე სფეროში მოქმედი სამენარმეო საზოგადოების სასარგებლოდ მუშაობა. ამ აკრძალვის დარღვევა ექსკლუზივის გარეშე (თავის მართლების შესაძლებლობის გარეშე) შეერაცხება კონკურენტ საწარმოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში: სკ-ის) 37-ე მუხლის და ქმნის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის-დელიქტის შემადგენლობა კონკურენციის შესა-

ხებ კანონის 11³ | მუხლის მიხედვით, რისთვისაც დირექტორის „გადამბირებელი“ კონკურენტი საწარმო პასუხს აგებს სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით. თუმცა, არაკეთილსინდისიერმა კონკურენტმა დირექტორის გარდა შეიძლება გადაიბიროს საზოგადოების ნებისმიერი სხვა ორგანო (სავაჭრო წარმომადგენელი, პროკუროსტი) ან ნებისმიერი მუშაკი, რისთვისაც ის იდენტურად აგებს პასუხს ზემოთ ხსენებული დანაწესების მიხედვით.²¹ ქვემოთ მოცემული ტექსტი შეეხება ამ პასუხისმგებლობის ფარგლებს, კერძოდ იმას, თუ როგორ გამოითვლება არაკეთილსინდისიერი კონკურენტის მიერ, მისი ამ ქმედებით დაზარალებულისათვის, მიყენებული ზიანი, როდესაც „გადამბირებულმა“ პირმა მთელი თავისი უნარი, ცოდნა და გამოცდილება არაკეთილსინდისიერი საწარმოს სამსახურში ჩააყენა.

ამ გარემოების გათვალისწინებით, გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ, თავის 1996 წლის გადაწყვეტილებაში,²² რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პრეცედენტად არის აღიარებული, დაადგინა შემდეგი – საქმე ეხებოდა სადაზღვეო ბროკერის მიერ კონკურენტ საწარმოზე მუშაობის შემთხვევას:

A. I. 1.b): „საზოგადოების სავაჭრო წარმომადგენლის მიერ კონკურენტი საწარმოსათვის აკრძალვის დარღვევით მინიჭებული გაზრდილი ბრუნვა შეიძლება გახდეს ამ საზოგადოების ზიანის გამოთვლის საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფის მიხედვით.

მოსარჩელე საზოგადოების ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობას არ წარმოადგენს მოპასუხის საბროკერო აქტივობის შედეგად, საზოგადოების ერთგული კლიენტების კონკურენტთან გადაბირება, რადგან მოსარჩელის მხრიდან ხელიდან გაშვებულად და, ამგვარად, მიუღებელ შემოსავალში გამოხატულ ზიანად ითვლება, ასევე იმ გარიგებების დაკარგვა, რომელსაც ის დადე-

²¹ შდრ. BGH GRUR 2016, 860; BGH NJW 2014, 381; BGH NJW 1996, 2098; BGH NJW 1964, 817.

²² BGH NJW 1996, 2097.

ბდა კონკურენტული საწარმოს მიერ ახლადშექმნილ კლიენტებთან.

დაზარალებულმა საწარმომ არ უნდა ამტკიცოს, რომ [მისი წარმომადგენლის მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შედეგად] მას შეუძლია ბრუნვა; რადგან გადამწყვეტია მხოლოდ ის გარემოება, თუ რა დამატებით ბრუნვას/მოგებას მიიღებდა ის იმ შემთხვევაში, სავაჭრო წარმომადგენელს ჯეროვნად რომ შეესრულებინა საკუთარი ვალდებულებები და მოგების გაზრდაზე ემუშავა.“

ზიანის გამოთვლა მიბმულია უშუალოდ ერთგულების ვალდებულების დამრღვევ პირზე. ზიანის წყაროდ მიჩნეულია, პირველ რიგში, ის, რომ მან არ იმუშავა თავისი კომპანიის სასარგებლოდ, არ მოუყვანა მას ახალი კლიენტები და ამით თავისი ვალდებულებები დაარღვია.

ეს შემთხვევა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ მოცემულობისაგან, როდესაც კონკურენტმა, მართალია, გადააბიჯა დასაშვები კონკურენციის ფარგლებს, თუმცა აბსოლუტური სიზუსტით წინასწარგათვლადი არ არის, თუ რა რაოდენობის კლიენტების წართმევას შეძლებდა ის, დასაშვები, მაგრამ აგრესიული მარკეტინგის მეშვეობით. აქ კლიენტების გადაბირებით დაკავებულია ის პირი, რომელსაც, მეწარმეთა შესახებ კანონის (იმჟამად მოქმედი რედაქციის) 9 V მუხლის მიხედვით, არა მხოლოდ არაკეთილსინდისიერი თუ კეთილსინდისიერი კონკურენცია ეკრძალება, არამედ პირდაპირ არის ვალდებული მთელი თავისი პროფესიული უნარები საკუთარ საწარმოს მოახმაროს (მეწარმეთა შესახებ კანონის 9 VI მუხლი) და უმოქმედობაც კი ვალდებულების დარღვევად ეთვლება. კომპანიის ორგანოს მხრიდან ამგვარი სამმაგი აცდენა მართლზომიერი ქცევის წესისგან, სულ მცირე, იმით უნდა იყოს დასჯადი, რომ მის მიმართ ის პრეზუმფცია, რომელიც, ზოგადად, ყველა „ჩვეულებრივი“ არაკეთილსინდისიერი კონკურენტის წინააღმდეგ მოქმედებს, უფრო მყარ და თითქმის გაუქარწყლებელ ხასიათს იძენდეს.

აქ კომპანიას აზიანებს უკვე ის ფაქტი, რომ მისი ორგანო მის სასარგებლოდ არ მუშაობს. ის ფაქტი, რომ ამ ორგანოს მუშაობა სხვის სასარგებლოდ იყო ეფექტური, იმდენად ცხად ურთიერთმფარავ კავშირს აბამს ამ კონკურენტის მოგებასა და დაზარალებულის ზიანს შორის, რომ მისი გაქარწყლება მხოლოდ სრულებით ექსტრაორდინალურ გარემოებებზე მითითებითაა შესაძლებელი. მაგალითად, ასეთი გარემოება შეიძლება იყოს ის ინფრასტრუქტურა, რომელიც მხოლოდ კონკურენტს გააჩნდა და რომლის განვითარებაც დაზარალებულისათვის სრულებით შეუძლებელი იყო, ხოლო მის გარეშე კი ახალი კლიენტების მოზიდვა შეუძლებელია. თუ კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციითაა დაკავებული, ვერ დაამტკიცებს ასეთი ექსტრაორდინალური გარემოების არსებობას, (ზიანისა და მოგების) ურთიერთმფარავობის პრეზუმფციის გაქარწყლება შეუძლებელია, იქნება ეს ბაზრის დინამიკაზე, კონკურენტების არსებობაზე, სავაჭრო რეგულაციების ცვლილებასა თუ ნებისმიერ სხვა გარეშე ფაქტორებზე აპელირება.

გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ თავისი ეს პრაქტიკა არაერთხელ დაადასტურა თავის 2009,²³ 2013²⁴ და 2014²⁵ წლის გადაწყვეტილებებში. კონკურენტის მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევისაგან განსხვავებით, დაზარალებული კომპანიის ორგანოს მხრიდან ორგულობისა და კონკურენტზე მუშაობის შემთხვევაში, მოქმედებს არა სტანდარტული, არამედ კიდევ უფრო გამყარებული პრეზუმფცია, რომ არაერთგული წარმომადგენლის მიერ კონკურენტისათვის მინიჭებული მოგება არის სწორედ ის ზიანი, რაც მან თავის საზოგადოებას მიაყენა. ამ პრეზუმფციის გაქარწყლება შეუძლებელია რაიმე გარეშე საბაზრო ფაქტორებზე მითითებით. სწორედ ამიტომ, სასამართლო ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში, რომელთაგან ერთი სადაზღვეო და მეორე კი, სასმელების ბიზნესი (იხ. ზემოთ BGH, NJW 1996, 2097) ეხებოდა (რა სფეროშიც

²³ BGH NJW-RR 2009, 1404.

²⁴ BGH NJW 2013, 2111.

²⁵ BGH NJW 2014, 381.

უხვადაა მესამე პირი-კონკურენტები), საერთოდ არ იმსჯელა იმ შესაძლებლობაზე, თუ რამდენად შეეძლოთ ამ კომპანიებს დაზარალებულისათვის ახალი კლიენტების წართმევა. რაც შეეხება უკვე არსებული ერთგული კლიენტის სხვა კონკურენტთან გადაბირებას, აქ კონკურენტის მოგების ოდენობის ზიანთან სრული შესატყვისობის პრეზუმფცია ფაქტობრივად გაუქმარწყლებლად უნდა ჩაითვალოს.

B. გერმანული სამართალი

I. არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანი: საკანონმდებლო რეგულაციები

გერმანიაში, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ კანონში (UWG) გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების სპეციალური ნორმა. მისი არსებობა აუცილებელია, რადგან სხვაგვარად, არაკეთილსინდისიერი მოქმედებისას – დელიქტური პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობის – გსკ-ის 823 I პარაგრაფის გაგებით აბსოლუტურად დაცული სიკეთის ხელყოფის – არშესრულების გამო, ზიანის მომტანი ქმედებებიდან გამომდინარე ანაზღაურების მოთხოვნები, ჩვეულებრივ, სახეზე არ იქნებოდა; პასუხისმგებლობის ნორმა ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

§ 9 ზიანის ანაზღაურება:

(1) ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ახორციელებს მე-3 ან 7-ე პარაგრაფით აკრძალულ კომერციულ ქმედებებს, ვალდებულია კონკურენტებს აუნაზღაუროს ამ ქმედებით მათთვის მიყენებული ზიანი;

(2) ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ახორციელებს მე-3 პარაგრაფის მიხედვით აკრძალულ კომერციულ ქმედებას და მომხმარებლებს აიძულებს მიიღონ ისეთი ბიზნეს-გადანყვეტილება, რომელსაც სხვაგვარად არ მიიღებდნენ, ვალდებულია მათ აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი, რაც არ ვრცელდება მე-3a, მე-4, მე-6 და დანართის № 32-ში განვირილ არაკეთილსინდისიერ ქმედებებზე;

(3) პერიოდული ბეჭდური გამოცემების პა-

სუხისმგებელ პირთა მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირველი და მეორე პარაგრაფების მიხედვით განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ ქმედება განზრახად არის ჩადენილი.

პასუხისმგებლობის ეს ნორმა არაკეთილსინდისიერი კომერციული ქმედებების წინაპირობებთან დაკავშირებით, სხვა ნორმებთან ერთად, შემდეგ ნორმაზეც უთითებს:

§ 3 – არაკეთილსინდისიერი კომერციული ქმედებების აკრძალვა

(1) არაკეთილსინდისიერი კომერციული ქმედებები დაუშვებელია.

(2) მომხმარებლისკენ მიმართული ან მის მოზიდვაზე გათვლილი კომერციული ქმედებები არაკეთილსინდისიერია, თუ არ შეესაბამება მენარმის სათანადო საქმიან გულისხმიერებას და შესაძლებელია არსებითად იმოქმედოს მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევაზე.

(3) ამ კანონის დანართში ჩამოთვლილი, მომხმარებელთა მიმართ განხორციელებული კომერციული ქმედებები ყოველთვის დაუშვებელია.

(4) მომხმარებელთა მიმართ კომერციული ქმედებების შეფასებისას ათვლის წერტილია „საშუალო მომხმარებელი“ ან, როდესაც ქმედება მიზნად ისახავს კონკრეტულ მომხმარებელთა ჯგუფს, ამ ჯგუფის საშუალო სტატისტიკური წარმომადგენელი. ქმედებები, რომლებიც მენარმისთვის წინასწარ შეცნობადად, არსებითად ახდენს გავლენას და განაპირობებს მხოლოდ ერთი, ნათლად იდენტიფიცირებადი მომხმარებელთა ჯგუფის ეკონომიკურ ქცევას, რომელიც გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდულობის, ასაკის ან გულუბრყვილობის გამო, განსაკუთრებულად მოწყვლადია, უნდა შეფასდეს აღნიშნული ჯგუფის საშუალო წარმომადგენლის პერსპექტივიდან.

§ 3a – სამართალდარღვევა

არაკეთილსინდისიერად მოქმედებს ის პირი, რომელიც არღვევს იმ ნორმას, რომელსაც (ასევე) ბაზრის მონაწილეთა ინტერესების უზრუნველსაყოფად ეკონომიკური მნიშვნელობის ქცევის რეგულირება აქვს მიზნად, და რომლის დარღვევაც მომხმარებელთა, ბაზრის სხვა მონაწილეთა ან კონკურენტთა ინტერესებს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს.

კანონის მე-3 და შემდგომი პარაგრაფები შეიცავს არაკეთილსინდისიერი ქმედებების ვრცელ კატალოგს. ამასთან ერთმანეთისაგან განასხვავებს კონკურენტების მიმართ და მომხმარებლების მიმართ ჩადენილ არაკეთილსინდისიერ ქმედებას; ქვემოთ განხილული იქნება მხოლოდ (გერმანიის) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის მე-9, მე-3 I პარაგრაფით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, ანუ კონკურენტების ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები.

II. არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანის განსაზღვრის ძირითადი პრინციპები

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ (გერმანიის) კანონის მე-9 პარაგრაფიდან წარმომდგარ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება გერმანული სამართლის ზოგადი პრინციპები, რომელიც მოქმედებს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით; აქედან გამომდინარე, აუცილებელია განსხვავება პასუხისმგებლობის შემადგენლობის შესრულებასა (პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი კაუზალობა) და შედეგად წარმოშობილ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას შორის (გსკ-ის 249-ე და შემდგომი პარაგრაფები), კერძოდ კი ანაზღაურებადი ზიანის ოდენობის დადგენამდე (პასუხისმგებლობის შემავსებელი კაუზალობა, *haftungsausfüllende Kausalität*); მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობის წარმომშობი კაუზალობის (*haftungsbegründende Kausalität*) ნაწილში, ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება ხელშეკრულებით და დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესები. კონკურენციის სამართალში, ზიანის გამოთვლის ნაწილში, ჩამოყალიბდა რამდენიმე სპეციფიკური მოდელი (იხ. ამასთან დაკავშირებით A II-თავში მოცემული განმარტებები).

პასუხისმგებლობის შემავსებელი კაუზალობის ეს სპეციფიკა ვრცელდება მხოლოდ ანაზღაურებადი ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე, ანუ გამოთვლის წესზე, ასევე დაზარალებულისათვის მტკიცებისა და მითითების ტვირთის დაკისრების ფარგლებზე. ნებისმიერი ისეთი ანაზღაურება, რომელიც სცილდება ქონებრივი დანაკლისის გამოსწორების ფარგლებს – შესაბამისად, პენალურ (დამსჯელ) სანქციას წარმოადგენს თავად კონკურენციის წესების დარღვევისთვის ან იმ ტიპის კომპენსაცია, რომელიც დაზარალებულის „გამდიდრებას“ იწვევს – უცხოა გერმანული ზიანის ანაზღაურების სამართალისთვის.

1. პასუხისმგებლობის წარმომშობი კაუზალობა

ამგვარად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ (გერმანიის) კანონის 9-ე პარაგრაფიდან წარმომდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექვემდებარება ზიანის ანაზღაურების სამართლის ზოგად პრინციპებს ნორმის დაცვითი მიზნისა და კაუზალური შერაცხვის (*Zurechnungszusammenhang*) ნაწილში (ამის შესახებ ქვემოთ დეტალურად).²⁶ აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში კაუზალური შერაცხვის გარკვეული ასპექტები ზოგჯერ აღიქმება ნორმის დაცვითი მიზნის თემატიკის უბრალო სახეცვლილ კონსტრუქციად (ერთგვარ ქვეტიპად). ქვემოთ ისინი ცალკე სამართლებრივ პრინციპებად იქნება განხილული.

ა) ნორმის დაცვითი მიზანი

ნორმის დაცვითი მიზნის²⁷ საფუძველზე პასუხისმგებლობის შეზღუდვა ნიშნავს, რომ ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილებასაც მიზნად ისახავს დარღვეული ნორმა; შესაბამისად, სრულიად გარეგანი და

²⁶ იხ. ამასთან დაკავშირებით, *ჰაგენლოხი*, პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, 55 (<https://lawjournal.ge/wpcontent/uploads/MedLaw-232023.pdf>) = <https://lawjournal.ge/wpcontent/uploads/DGZR-6-2023.pdf>, 86).

²⁷ *რუსიაშვილი/ჰაგენლოხი*, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონა, შედარებითი სამართლის ჟურნალი 5-2024, 21 (<https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-5-2024.pdf>).

თითქმის შემთხვევითი კავშირი (ქმედებასა და ზიანს შორის) ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისათვის საკმარისი არ არის²⁸; ამიტომ, ხსენებული კანონის მე-9 საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, როგორც წესი, აუცილებელია, რომ არაკეთილსინდისიერი ქცევის აკრძალვა იყოს მიმართული დაზარალებული კონკურენტის დაცვაზე; ეს, მაგალითად, მომხმარებლის წინააღმდეგ ჩადენილი არაკეთილსინდისიერი ქცევის შემთხვევაში, ავტომატურად არ იგულისხმება და თავისთავად არ არის სახეზე. თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი თავისებურება:

თუ არაკეთილსინდისიერი ქცევა გულისხმობს სამართლის ისეთი დანაწესის დარღვევას, რომელიც ეკონომიკური ბაზრის მონაწილეთა (მათ შორის, მომხმარებელთა) ინტერესებში არეგულირებს საბაზრო ქცევას, დარღვეული ნორმის დაცვითი სფერო ვრცელდება კონკურენტებზეც იმდენად, რამდენადაც სამართალდარღვევა მათ ინტერესებსაც შეიძლება აყენებდეს ხელშესახებ ზიანს (არაკეთილსინდისიერი კონკურენტის შესახებ კანონის 3a-ე პარაგრაფი). ბაზრის მონაწილის ქცევა მისი კონკურენტის მიმართ წარმოადგენს კეთილსინდისიერი კონკურენტის მიზნის ხელყოფას – მაშინაც კი, როდესაც ნორმა პირდაპირ მხოლოდ მომხმარებლის დაცვას ისახავს მიზნად – თუ ამ არაკეთილსინდისიერ კონკურენტს ე.წ. საბაზრო ქცევის წესის დარღვევით შეუძლია მოიპოვოს ბაზარზე გარკვეული უპირატესობა. სხვა სიტყვებით, იმ სამართლებრივი ვალდებულების დაცვითი სფერო, რომლის პირველადი დაცვითი მიმართულება მომხმარებელია, ვრცელდება კონკურენტებზეც, რამდენადაც აღნიშნული ვალდებულება ასევე მიზნად ისახავს ზოგადად საბაზრო ქცევის რეგულირებას.²⁹ ამრიგად, კონკურენტსა და მომხმარებელს შორის მოქმედი „თამაშის წესები“ იქცევა ბაზრის „თამაშის წესებად“ და იცავს

ბაზრის ყველა მონაწილეს.

მოცემული კავშირი ბაზრის მონაწილის ქცევის რეგულირებასთან იმანენტურად ახასიათებს მთელ რიგ ისეთ კანონისმიერ ვალდებულებებს, რომლებიც პირველ რიგში მომხმარებელთა დაცვას ისახავენ მიზნად, რის გამოც ხსენებული კანონის მე-3a პარაგრაფი საკმაოდ ხშირად განაპირობებს ასევე კონკურენტის არაპირდაპირ დაცვასაც; მაგალითად, შეიძლება მიუთითოთ ბიოციდების შესახებ ევროკავშირის დადგენილების ((EU) Nr. 528/2012) 72 III 2 პარაგრაფზე, რომლის მიხედვით ბიოციდის პროდუქტის რეკლამაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა შედიოდეს გარკვეული მითითებები („არატოქსიკური“ და სხვ.) ან მათი მსგავსი მინიშნებები; ბიოციდების შესახებ დადგენილებაში გათვალისწინებული რეგულაციის უშუალო მიზანი არის ჯანმრთელობის დაცვა როგორც მომხმარებელთა დაცვის ნაწილი. ეს წარმოადგენს 72 III მუხლით დადგენილი რეკლამის შეზღუდვის პირველად და ამოსავალ მიზანს – მომხმარებლის დაცვა ჯანმრთელობის იმ რისკებისაგან, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ რეკლამაში პროდუქტის რისკების უმნიშვნელოდ წარმოჩენით: ამასთან, მომხმარებლისადმი მიმართული რეკლამისთვის კანონით დაწესებული ეს შეზღუდვა ამავედროულად არეგულირებს ყველა კონკურენტის საბაზრო (აქ: სარეკლამო) ქცევასაც, ამიტომ, კონკურენტის წესების დარღვევის შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ დამცავ ნორმებს; ამასთან დაკავშირებით გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო აღნიშნავს:³⁰

„ბიოციდური პროდუქტების შესახებ დადგენილების (Biozid-VO) 72 III 2 მუხლში განვლილი რეგულაცია ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვასაც ისახავს მიზნად ბაზარზე მენარმე სუბიექტების ქმედებების რეგულირების

²⁸ ზოგადად: BGH, Urteil vom 21. März 2023 - XIII ZR 2/20 - RdE 2023, 496, juris Rn. 39; BGH, Urteil vom 24. Mai 2022 - VI ZR 206/21 - NJW 2022, 2747, juris Rn. 29; BGH, Urteil vom 22. September 2016 - VII ZR 14/16 - BGHZ 211, 375, juris Rn. 14; zu § 9 UWG: Raue in: Teplitzky/Peifer/Leistner, UWG, 3. Auflage, § 9 UWG Rn

26 ff.; Rose in: Seichter, jurisPK-UWG, 5. Aufl., § 9 UWG (Stand: 15.01.2021) Rn. 35 ff.

²⁹ OLG Frankfurt, Urteil vom 20. Mai 2021 - 6 U 39/20 - WRP 2021, 1480, juris Rn. 41; Rose in: Seichter, jurisPK-UWG, 5. Aufl., § 9 UWG (Stand: 15.01.2021D), Rn 35 f.

³⁰ BGH, Urteil vom 10. Oktober 2024 - I ZR 108/22 - GRUR 2024, 1736, juris Rn. 19.

გზით. დადგენილების 1 I მუხლის თანახმად, კანონის მიზანია შიდა ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესება ბიოციდური პროდუქტების ბაზარზე განთავსებისა და გამოყენების წესების ჰარმონიზაციის გზით, ერთდროულად ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფით. რეგლამენტის დებულებები ეყრდნობა პრევენციული სიფრთხილის პრინციპს, რომლის საფუძველზეც უნდა იყოს უზრუნველყოფილი ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობის, აგრეთვე გარემოს დაცვა (I 1 2 მუხლი). დადგენილების 72 III 2 მუხლი შეიცავს ბიოციდური პროდუქტების რეკლამის შესახებ რეგულაციებს, რომელთა მიზანია აღიკვეთოს პროდუქტის ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობისთვის ან გარემოსთვის არსებული რისკების უმნიშვნელოდ წარმოჩენა ან მისი ეფექტიანობის შესახებ შეცდომაში შეყვანა (...). შესაბამისად, ბიოციდური პროდუქტების შესახებ დადგენილების მოცემული ნორმა არეგულირებს მენარმე სუბიექტების ქცევას, ბიოციდური პროდუქტების რეკლამის ფარგლებში, ჯანმრთელობის დაცვისა და, ამგვარად, მომხმარებელთა ინტერესების უზრუნველსაყოფად.“

უქმნის თუ არა ბაზრის მონაწილის ქცევა დაცული ინტერესებს საგრძნობ საფრთხეს და შეიცავს თუ არა მათი ხელყოფის რისკს უნდა შეფასდეს დარღვეული საბაზრო ქცევის მარეგულირებელი წესის დაცვითი მიზნის მიხედვით. ამ შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს (მხოლოდ) ის მიზნები, რომელთა საფუძველზეც დგინდება, რომ შესაბამისი დებულება ბაზარზე ქცევის მარეგულირებელ წესს განეკუთვნება.³¹ „ხელშესახები ხელყოფის“ წინაპირობის სავალდებულობის მიზანია კონკურენტთა დაცვის სფეროდან გამორიცხოს ბაზარზე ქცევის წესის დარღვევის ისეთი შემთხვევები, რომლებიც ბაზრის სხვა მონაწილეებზე არსებით გავლენას არ ახდენენ და, შესაბამისად, რომელთა მიმართაც საზოგადოებრივი ინტერესი არ არსებობს.³²

მოცემული არგუმენტაციიდან უკუდასკვნით

ასევე გამომდინარეობს, რომ იმ კონკურენტის მხრიდან ჩადენილი სამართალდარღვევა, რომელიც საბაზრო ქცევას არ ეხება, კეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონით დადგენილი მე-9 პარაგრაფის მიხედვით ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მოქმედების სფეროში არ შედის. ეს ძალაშია მაშინაც, როდესაც კანონის შესაბამისად მოქმედი კონკურენტი სხვის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების გამო ეკონომიკურ ზიანს განიცდის – მაგალითად, იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია უფრო იაფად აწარმოოს (გადასახადების თავიდან არიდება; შრომითი კანონმდებლობის დარღვევები; დაუშვებელი მავნე ნივთიერებების ემისიები და სხვ.) – და ამით ბაზარზე ფასთა კონკურენციაში უპირატესობას მიიღოს.

ბ) კაუზალური შერაცხვა (Zurechnungszusammenhang)

ზიანის მომტან ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის კავშირი, კაუზალური შერაცხვის ფორმით არ არსებობს, თუ ზიანის მომტანი ქმედება ეფუძნება დაზარალებულის თავისუფალ გადაწყვეტილებას; ანუ, დაზარალებული ჩაერია კაუზალობის ჯაჭვში მას შემდეგ, რაც იგი უკვე დამრღვევის ქცევით იყო დაძრული. მიუხედავად ამისა, პასუხისმგებლობის სამართლის წრეში დამრღვევის ქცევის კაუზალური შერაცხვა დაზარალებულის ქცევით არ იშლება და სახეზეა, როდესაც დაზარალებულის ქცევას გააჩნდა გამამართლებელი საფუძველი, ან იგი იყო დამრღვევის მოქმედებით პროვოცირებული და არ წარმოადგენდა მასზე არც უჩვეულო და არც შეუსაბამო რეაქციას.³¹

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ გერმანიის კანონის მე-9 პარაგრაფით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების ფარგლებში, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურენტი, კონკურენციის სამართლის დარღვევის დაფიქსირების შემდეგ, მოთხოვნას აყენებს არა რეალური დამრღვევის წინააღმდეგ

³¹ BGH, Urteil vom 29. Mai 2024 - I ZR 43/23 - GRUR 2024, 1041, juris Rn. 44; BGH, Urteil vom 6. Juni 2019 - I ZR 206/17 - GRUR 2019, 1071, juris Rn. 54.

³² BGH, Urteil vom 29. Mai 2024 - I ZR 43/23, GRUR 2024, 1041, juris Rn. 44.

(Störer), არამედ მიმართავს ისეთი მესამე პირის წინააღმდეგ, რომელსაც დარღვევა არ ჩაუდენია („არასწორი პირი“), რის შედეგადაც უწევს გაფრთხილებისა (Abmahnung) და სხვა სამართლებრივი დევნის ხარჯების უშედეგოდ გაღება. სასამართლო პრაქტიკა იმ პოზიციიდან გამომდის, რომ „არასწორი პირის“ წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის რისკი, როგორც წესი, რეალურ დამრღვევ პირს (Störer) არ მიეწერება.³³ განსხვავებული შეფასება მოქმედებს მაშინ, როდესაც რეალურმა დამრღვევმა კონკურენტი თავდაპირველად სწორედ არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მეშვეობით (რაც შესაძლოა კონკურენციის სამართლის მოთხოვნების დამოუკიდებელ დარღვევად შეფასდეს) მიიყვანა იქამდე, რომ მოთხოვნა არადამრღვევი პირის მიმართ წარადგინა.³⁴ სხვა სიტყვებით: თუ რეალურმა დამრღვევმა კონკურენტი, ფაქტობრივად, „ცრუ კვალზე“ დააყენა, ამგვარად მან მოცემული ქმედებით მოახდინა პროვოცირება იმისა, რომ კონკურენტს არადამრღვევი პირის მიმართ დაენოო დავა.

დაზარალებულის მიერ პირადი გადაწყვეტილებით საკუთარი თავისათვის მიყენებული ეკონომიკური დანაკარგების (პასუხისმგებლობის სამართლის გაგებით) შერაცხვის კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც დაზარალებული კონკურენტი, დამრღვევის ქმედებებით გამოწვეული „ბაზრის დაბნეულობის“ (Marktverwirrung) აღმოსაფხვრელად, ბაზრის გასარკვევად/გასაწმენდად (Marktaufklärung) იღებს შესაბამის ხარჯებთან დაკავშირებულ ზომებს (რეკლამა; საინფორმაციო კამპანია და სხვა; ამის შესახებ ქვემოთ B. II. 2.a) cc) (2)).

2. პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრელი კაუზალურობა

კონკურენციის სამართლის დანაწესების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების

მოთხოვნის განხორციელებისას, ის დაზარალებული, რომელსაც მტკიცების ტვირთი ეკისრება, ვალდებულია, როგორც წესი, კონკრეტულად დაადგინოს როგორც მიუღებელი შემოსავალი, ასევე რეპუტაციული ზიანი. თუმცა, იმის გამო, რომ ამ შემთხვევაშიც მტკიცების ტიპიური პრობლემატიკა იჩენს თავს, როგორც ყოველთვის, დაზარალებულს ენიჭება გარკვეული შეღავათები მტკიცებისა და დასაბუთების ტვირთთან მიმართებით (იხ. ქვემოთ). არამატერიალური უფლებების დარღვევისას, ხსენებული კანონის მე-9 მუხლის გაგებით, ზიანის დაანგარიშება დამრღვევის მიერ მიღებული მოგების ოდენობით და ზიანის ანაზღაურების სახით დაზარალებულისათვის მისი გადაცემა (Herausgabe des Verletzerertrags) ან ლიცენზიის ანალოგიის (Lizenzanalogie) მეთოდით, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოიყენება (იხ. ქვემოთ B. II. 2. b) bb)).

ა) კონკრეტული ზიანის დაანგარიშება

კონკურენციის სამართალში მოქმედებს ზოგადი, გამოცდილებით (ემპირიული გზით) მიღებული დებულება, რომლის მიხედვითაც კონკურენციის სამართლის მოთხოვნების დარღვევა, ჩვეულებრივ, კონკურენტს ყოველთვის ზიანს აყენებს.³⁵ ვინაიდან ამ ზიანის, განსაკუთრებით, მიუღებელი შემოსავლის კონკრეტული ოდენობის დამტკიცება კონკურენციის სამართალში განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, დაზარალებულს (ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნითაც) უნდა მიენიჭოს მტკიცებულებითი შეღავათები.

აა) პრინციპები

ზიანის გამოანგარიშების პრინციპებთან მიმართებით, ძალაში რჩება A ნაწილში მოცემული განმარტებები და იქ ამონარიდის სახით წარმოდგენილი გერმანიის ფედერალური უზენაესი

³³ BGH, Urteil vom 23. November 2006 - I ZR 276/03 - GRUR 2007, 631, juris Rn. 24; BGH, Urteil vom 5. November 1987 - I ZR 212/85 - GRUR 1988, 313, juris Rn. 14 f.

³⁴ BGH, Urteil vom 17. September 2015 - I ZR 47/14 - GRUR 2016, 526, juris Rn. 32 ff.

³⁵ BGH, Urteil vom 21. Januar 2016 - I ZR 90/14 - GRUR 2016, 860, juris Rn. 21.

სასამართლოს 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება³⁶ (ზემოთ A. II. 1.).

ბბ) ზიანის გაანგარიშების წესი და მეთოდიკა

ზიანის კონკრეტულ დაანგარიშებასთან დაკავშირებით, ფედერალური უზენაესი სასამართლო სხვა ადგილას დამატებით განმარტავს:³⁷

„თუ დაზარალებული ზიანს კონკრეტული მეთოდით ითვლის და ითხოვს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, მან უნდა წარმოადგინოს ისეთი ფაქტები, რომლებიც იძლევა იმის დადგენის შესაძლებლობას, რომ მისი ბრუნვა (გაყიდვები) ან მისი ლიცენზიატის ბრუნვა, არამართლზომიერი ქმედებების გარეშე, მოვლენათა ჩვეულებრივი მიმდინარეობის ან კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, გარკვეული ალბათობით (§ 252 გსკ), გაიზრდებოდა იმ მოცულობით, რომლის შეფასებაც, საჭიროების შემთხვევაში, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფის მიხედვით, შეიძლება შეფასდეს სასამართლოს მიერ. ამასთან, საქმის კონკრეტული გარემოებებისგან დამოუკიდებლად, არ შეიძლება, უფლებამოსილმა პირმა ან მისმა ლიცენზიატმა დამრღვევის ბრუნვა (მიღებულის მოგება) ავტომატურად „გადმოიღოს“ (...). შესაბამისი კავშირის დასაბუთებისთვის დაზარალებულის მხრიდან, როგორც წესი, არასაკმარისია, მხოლოდ დროისა და რაოდენობითი მონაცემების მითითება დამრღვევის მიწოდებებსა და შეთავაზებებზე, არამედ საჭიროა მიწოდებისა და შეთავაზების ფასების მითითებაც. ამ ფასების ცოდნის გარეშე, როგორც წესი, ვერ შეფასდება, უფლებამოსილი პირი ან მისი ლიცენზიანტი, შეძლებდნენ თუ არა და რა მოცულობით შეძლებდნენ, მათი ფასების გათვალისწინებით, დამრღვევის ბრუნვის მიღწევას, ან ხომ არ შექმნა დამრღვევმა დამატებითი მოთხოვნა, რომელსაც უფლებამოსილი პირი

ვერ შექმნიდა და აითვისებდა. კონკრეტული ზიანის დაანგარიშებისათვის დაზარალებულს არ სჭირდება დამრღვევის პროდუქტის თვითღირებულების ხარჯებისა და მიღებული მოგების მონაცემები; რადგან ხელიდან გაშვებული მოგების რაოდენობის დადგენას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ის თანხა, რომელსაც დაზარალებული ჩვეულებრივ იღებს (...).

ზიანის ამგვარი დაანგარიშებისას დაზარალებულმა, ზიანის შეფასების ზოგადი კრიტერიუმების შესაბამისად, სარგებლის გათანაბრების (*Vorteilsausgleich*) პრინციპის მიხედვით, უნდა გაითვალისწინოს/გამოქვითოს მის მიერ დაზოგილი პერიოდული ხარჯები (ე.წ. სპეციალური დანახარჯები - *Spezialunkosten*), მაგალითად საქონლის შესყიდვის ხარჯები, პროდუქტთან დაკავშირებული ენერგომოხმარების ხარჯები ან სავაჭრო წარმომადგენლების საკომისიოები; მაგრამ არა პროპორციული ფიქსირებული ხარჯები.³⁸

გგ) კონკრეტული საკითხები

(1) „მოზიდვის ეფექტით“ (*Anlockeffekt*) გამოწვეული ზიანი

ანაზღაურებადი შეიძლება იყოს ისეთი ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმიტომ, რომ დამრღვევმა კონკურენციის სამართლის მოთხოვნების დარღვევა „სატყუარად“ (*Köder*) გამოიყენა სხვა ისეთი პროდუქტებისა და მომსახურებების გაყიდვების ზრდისთვის, რომლებიც უშუალოდ არ იყო კონკურენციის სამართლის დარღვევით მოცული; მაგალითად, როდესაც დამრღვევი პროდუქტს შეცდომაში შემყვანი ფორმით უკეთებს რეკლამას და ამით მოიპოვებს მყიდველებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში და-

³⁶ BGH, Urteil vom 21. Januar 2016 - I ZR 90/14 - GRUR 2016, 860.

³⁷ BGH, Urteil vom 20. Mai 2008 - X ZR 180/05 - GRUR 2008, 896, juris Rn. 32.

³⁸ ზოგადი მიმოხილვისათვის: BGH, Urteil vom 1. März 2001 - III ZR 361/99 - NJW-RR 2001, 985, juris Rn. 26 ff.;

BGH, Urteil vom 10. Mai 1989 - VIII ZR 88/88 - NJW-RR 1989, 1451, juris Rn. 11; OLG Hamm, Urteil vom 24. Januar 2019 - I-18 U 57/09 - RdTW 2019, 429, juris Rn. 71; OLG München, Urteil vom 16. April 2015 - 23 U 3528/14 - juris Rn. 28.

ზარალებულ კონკურენტთან შეიძენდნენ პროდუქციას (ე.წ. „მოზიდვის ეფექტი“).³⁹ ასეთი „მოზიდვის ეფექტი“ განსაკუთრებით აქტუალურია ყოველდღიური მოხმარების საქონლის შემთხვევაში. მაგალითად, მომხმარებლები, კონკურენციის სამართლის მოთხოვნების დარღვევით განხორციელებული რეკლამის შედეგად შეიძლება მივიდნენ სავაჭრო ობიექტში და ამ დროს შეიძინონ ისეთი საქონელიც, რომელსაც მოცემული რეკლამა არ შეხებია. იგივე შესაძლებელია ასევე ონლაინ-ვაჭრობაშიც; როდესაც მომხმარებლებს პროდუქტის ცალ-ცალკე გაგზავნის ხარჯების დაზოგვა სურთ ან იმიტომ, რომ უფრო მოსახერხებელია, ერთიანად იყიდოს ყველა საჭირო პროდუქტი, რამდენიმე მომწოდებლის შეთავაზებებში ცალკ-ცალკე გარკვევის მაგივრად.

(2) ბაზრის დაბნეულობით (Marktverwirrung) გამოწვეული ზიანი

თუ კონკურენციის სამართლის დარღვევის შედეგად ბაზარზე გაჩნდა გაურკვევლობა ან დეზორიენტაცია, შეიძლება ანაზღაურდეს როგორც ბაზრის დაბნეულობით გამოწვეული ზიანი (Marktverwirrungsschaden), ისე პროდუქტის ან მომწოდებლის რეპუტაციის დაზიანებით გამოწვეული ზიანი (Reputationsschaden).⁴⁰

თუმცა, ბაზრის დეზორიენტაცია თავისთავად ავტომატურად არ იწვევს ქონებრივ დანაკარგებს. პირველ რიგში, იგი მხოლოდ დარღვევით გამოწვეულ „ხელშეშლის მდგომარეობას“ (Störungszustand) განაპირობებს, რომელსაც უნდა დაუპირისპირდეს კონკურენციულსამართლებრივი ხელშეშლის აღკვეთისა

(Unterlassungsanspruch) და მისი შედეგების აღმოფხვრის (Beseitigungsanspruch) მოთხოვნები (§ 8 I UWG)^{41, 42} თუ ეს აუცილებელია, დაზარალებულს შეუძლია (პროპორციულობის ფარგლებში) თავადაც დააფინანსოს გაძლიერებული სარეკლამო ღონისძიებები ან ინფორმაციული კამპანიები მედიაში და ამ ხარჯების ანაზღაურება ზიანის სახით მოითხოვოს. თუმცა ამისთვის აუცილებელია, რომ ასეთი ღონისძიებები ემსახურებოდეს ზიანის შემცირებას ან ზიანის თავიდან აცილებას⁴³ და არ წარმოადგენდეს დარღვევის ხარჯზე განხორციელებულ ფარულ/სხვა ტიპის სარეკლამო აქტივობას. ამით არ იზღუდება უკვე კონკრეტულად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

(3) არამართლზომიერი ქცევით გამოწვეული მიუღებელი შემოსავალი

დაზარალებულ კონკურენტს, ზოგადად, აქვს უფლება, მოითხოვოს მისთვის მიყენებული ქონებრივი დანაკარგების სრულად ანაზღაურება (შდრ. ზემოთ A. I. 1.). თუმცა მართლწესრიგი გამორიცხავს იმ ქონებრივი სარგებლის ანაზღაურებას, რომელსაც დაზარალებული მხოლოდ საკანონმდებლო აკრძალვის დარღვევით შეძლებდა და რომლის შენარჩუნებასაც სამოქალაქო სამართალი დაუშვებლად მიიჩნევს, ან უკანონო საშუალებებით მიიღებდა.⁴⁴ კერძოდ, ზიანის ანაზღაურების გზით დაზარალებულს არ უნდა დარჩეს ისეთი მოგება, სწორედ რო-

³⁹ Raue in: Teplitzky/Peifer/Leistner, UWG, 3. Auflage, § 9 UWG, Rn. 82.

⁴⁰ Raue in: Teplitzky/Peifer/Leistner, UWG, 3. Aufl., § 9 UWG, Rn. 79.

⁴¹ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის მე-8 პარაგრაფი - აღმოფხვრა და ხელშეშლის აღკვეთა (1) პირი, რომელიც ახორციელებს მე-3 ან მე-7 პარაგრაფის მიხედვით დაუშვებელ ბიზნეს მოქმედებას ახორციელებს, უნდა აღმოფხვრას ის და გამეორების საფრთხის შემთხვევაში დასაშვებია მისგან ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა. ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა

არსებობს უკვე მაშინ, როდესაც სახეზეა მე-3 და მე-7 პარაგრაფების დარღვევის საფრთხე.

⁴² BGH, Urteil vom 6. Juni 1991 - I ZR 234/89 - GRUR 1991, 921, juris Rn. 32; სამენარმეო დაცული უფლების ხელყოფის შემთხვევაში: BGH, Urteil vom 17. Mai 2001 - I ZR 291/98 - GRUR 2001, 841, juris Rn. 52.

⁴³ დეტალური ანალიზისათვის Raue in: Teplitzky/Peifer/Leistner, UWG, 3. Auflage, §9 UWG, Rn. 91 ff.

⁴⁴ BGH, Versäumnisurteil vom 24. Februar 2005 - I ZR 101/02 - GRUR 2005, 519, juris Rn. 24; BGH, Beschluss vom 20. Dezember 1990 - III ZR 150/89 - juris Rn. 3.

მლის მოპოვებასაც სხვა საკანონმდებლო ნორმები მიზანმიმართულად უშლიან ხელს.⁴⁵ ეს წესი მოქმედებს მაშინაც კი, როდესაც დაზარალებულს ეს მოგება ფაქტობრივად უკვე მიღებული ჰქონდა.

ბ) დამრღვევის მოგების დაზარალებულისათვის გადაცემა / ლიცენზიის ანალოგია

ა) სამართლებრივი მდგომარეობა არამატერიალური უფლებების დარღვევისას

იმ არამატერიალური უფლებების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისას, რომელიც დაზარალებულს ექსკლუზიური გამოყენების უფლებით აქვს მინიჭებული (ე.წ. ექსკლუზიური უფლებები - *Ausschließlichkeitsrechte*), ზიანი შეიძლება განისაზღვროს დამრღვევის მოგების საფუძველზე ან ლიცენზიის ანალოგიით (შდრ. § 14 VI *MarkenG*;⁴⁶ § 97 III *UrheberrechtsG*; § 139 II *PatentG*; ქართულ სამართალში: სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45 VI მუხლი და მომდევნო მუხლები) (ე.წ. „სამმაგი ზიანის გაანგარიშების“ პრინციპი).⁴⁷

(1) დამრღვევის მოგება (*Verletzererfolg*)

დამრღვევის მოგება გამოხატავს იმ ეკონომიკურ ღირებულებას, რომელიც დარღვეულ

ექსკლუზიურ უფლებას ბაზარზე აქვს.⁴⁸ შესაბამისად, მისი დაზარალებულისათვის გადაცემის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ არის მიმართული კონკრეტულად დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე, მიზნად მაინც იმ ქონებრივი დანაკარგის სამართლიან დაბალანსებას ისახავს, რომელიც უფლების მფლობელმა მისი კუთვნილი ექსკლუზიური უფლების ხელყოფის შედეგად განიცადა.⁴⁹ ხელმოყვანის მოგების „ამოღებას“ (*Abschöpfung*, ამოშრეტას) თან ახლავს (მიზანმიმართულად დაშვებული) დამატებითი ეფექტი - პრევენციული ზემოქმედება.⁵⁰

კომპენსაციის პრინციპის თანმიმდევრულად განსახორციელებლად, ამ მეთოდით ხდება ფიქცია იმისა, რომ ექსკლუზიური უფლების მფლობელი, სხვა პირის არამართლზომიერი ქცევის გარეშე, მისთვის მინიჭებული დაცული უფლების კომერციული გამოყენებით იმავე მოგებას მიიღებდა, რასაც დამრღვევი.⁵¹ ამგვარად, დამრღვევის მოგების დაზარალებულისათვის გადაცემა არ ატარებს სადამსჯელო (პენალურ) ხასიათს, არამედ რჩება ზიანის ანაზღაურების სამართლის მიერ დადგენილ ფარგლებში. მისი განსაკუთრებულობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეფუძნება (ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებით გამყარებულ) თეზას, რომლის თანახმადაც, გამოცდილების მიხედვით, უფლების მფლობელი იმავე ეკონომიკურ სარგებელს მიიღებდა, რასაც უფლების დამრღვევი.

სწორედ ამ მომენტზე შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს ბრალდებულის მეგობრის შესახებ. ფოტოს კომენტარში გამოყენებული იყო შემდეგი ემოჯიები: „თვალეები“ (👁️), „მითითების ნიშანი“ (👉), „OK ნიშანი“ (👌), ე.წ. „ვირთხა“ (👊), „აფეთქება“ (💣) და „იარაღი“ (🔪). სასამართლო დაეყრდნო ბანდებთან დაკავშირებულ საქმეებზე მომუშავე სპეციალიზირებული პოლიციის ოფიცრის ჩვენებას, რომელმაც განმარტა, რომ პოსტი ბრალდებულის სოციალური ქსელის მნახველებს მოწმის წინააღმდეგ განაწყობდა და მიმართული იყო იქეთკენ, რომ ძალადობრივი ქმედებებით დაესაჯათ მოწმე, რათა თავიდან აეცილებინათ სამართალდამცავ ორგანოებთან მისი სამომავლო თანამშრომლობა. ამდენად, შესაძლებელი იყო იმ დასკვნის გამოტანა, რომ ბრალდებულის პოსტი მაინკრიმინირებელი იყო.

სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ემოჯიები ზოგიერთ საქმეში აადვილებენ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათის შეცნობას. საინტერესოა ტრიერის მიწის სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც დადგინდა, რომ ბრალდებული ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობდა. ამ საქმეში ფიფქის ❄️ და სამყურას ფოთლის 🍀 ემოჯიებმა, სხვა მტკიცებულებების ფონზე, ევფემიზმური შინაარსობრივი მნიშვნელობა შეიძინა, კერძოდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ ფიფქის ემოჯი კოკაინს, ხოლო სამყურას ფოთოლი კი მარიხუანას აღნიშნავდა.⁴⁵

4. ემოჯი, როგორც დიფამაცია

Burrows v Houda [2020] NSWDC 485 საქმეში-

⁴⁶ სასამართლომ განმარტა, რომ ემოჯის შესაძლოა დიფამაციური მნიშვნელობაც ჰქონდეს.

⁴⁵ *Pendl, Emojis im (Privat-) Recht*, 2022 Mohr Siebeck, 19.

⁴⁶ იხ. *Singh, "Can an Emoji Be Considered as Defamation? A Legal Analysis of Burrows v Houda [2020] NSWDC 485" PER / PELJ 2021(24) - DOI <<http://dx.doi.org/10.17159/1727-3781/2021/v24i0a8918>> [04/09/2025]*.

მოსარჩელე ბოროტ იყო საყოველთაოდ ცნობილი იურისტი, მოპასუხე ჰოუდაც სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ერთ-ერთი ცნობილი ადვოკატი იყო. ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ნახსენები იყო, რომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას, მოსამართლემ გააკრიტიკა ბოროტს ქცევა და აღნიშნა, რომ შესაძლოა ასეთი ქცევა პოტენციური დისციპლინური პასუხისმგებლობის საგანი გამხდარიყო. ბოროტმა ჰოუდას წინააღმდეგ სარჩელი აღძრა ტვიტერზე განთავსებული პოსტის გამო რომელიც უთითებდა ამ ჟურნალის ლინკზე. მოპასუხის პოსტმა მიიღო მოწონებები, გადაზიარებები და ასევე კომენტარი: „2019 წლის ივლისის ისტორია. მას შემდეგ რა დაემართა მას?“ ამ კითხვაზე ჰოუდას პასუხი იყო ემოჯი: 🤔, რომელიც გამოხატავს „საიდუმლოს შენახვას“ ან „რამის თქმის უფლების არ ქონას“. ეს ემოჯი სასამართლომ შეაფასა როგორც ნიშანი იმისა, რომ ჰოუდამ ის გამოიყენა როგორც იმის საშუალება, რომ კითხვაზე პირდაპირი პასუხით თავიდან აერიდებინა ბოროტს რეპუტაციული დაზიანება, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ნამდვილად იცოდა რაღაც, რაც ამას გამოიწვევდა.

დასკვნა

ცნობილი ავსტრიელი ფსიქოლოგის და კომუნიკაციის თეორეტიკოსის პოლ ვაცლავიკის აქსიომის მიხედვით, „ადამიანს არ შეუძლია არ იკომუნიციროს, ისევე როგორც არ შეუძლია „არ მოიქცეს“.⁴⁷ ემოჯიების ეპოქაში ეს შესაძლოა ასეც გადმოვთარგმნოთ: „ადამიანს არ შეუძლია ემოჯიებით არ იკომუნიციროს.“⁴⁸ თუკი ეს რეალობაა, მაშინ შორს აღარ არის ის დრო, როცა ემოჯი სერიოზულ სამართლებრივ შეფასებას „მოითხოვს.“ ასეთივე უცხო ჩანდა წლების წინ სამართალში ხელოვნური ინტელექტის

⁴⁷ ნებისმიერ ქცევას კომუნიკაციის ხასიათი აქვს. ქცევას არ აქვს საპირისპირო პოლუსი, ამიტომ შეუძლებელია „არ მოვიქცეთ“, შესაბამისად, შეუძლებელია, რომ არ ვიყოთ კომუნიკაციაში. იხ. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2020/dec/books/vaclaviki_interpersonaluri_komunikacii_fsiqologia.pdf> [18/09/2025].

⁴⁸ *Pendl, Emojis im (Privat-) Recht*, 2022 Mohr Siebeck, 103.

„შემობრძანებაც“. სასამართლოები განმარტავენ იურიდიულ ტექსტებს, ციფრული სიმბოლოების ინტერპრეტაციის საჭიროების წინაშე ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის სასამართლო დადგა, თუმცა ემოჯიების არავერბალური ფორმით არსებობის და ამბივალენტური შინაარსის გამო, მათი ერთგვაროვანი განმარტების შემოთავაზება ფაქტობრივად შეუძლებელია. როგორ უცნაურადაც და არასერიოზულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს დღეს ეს საკითხი, ფაქტია სასამართლოები უკვე ანიჭებენ ციფრულ სიმბოლოებს გარკვეულ სამართლებრივ დატვირთვას. სამართალი არ უნდა ჩამო-

რჩეს თანამედროვე განვითარების ტენდენციებს, რომლებიც პირველ რიგში, ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობებზე აისახება, თუმცა ამავდროულად საჭიროა, რომ ტექნოლოგიური განვითარების პროდუქტის იურიდიული შეფასება დიდი სიფრთხილით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად განხორციელდეს. ზოგჯერ „ემოჯი“ არაფრისმეტყველია, მაგრამ როცა  ხდება მტკიცებულებების ნაწილი ან ხელშეკრულების დადების შეთავაზებაზე პასუხად  ვხედავთ, მაშინ სამართალიც ველარ და-რჩება .

ხელოვნური ინტელექტი და შრომითი დისკრიმინაცია

ილია ბეგიაშვილი

ადვოკატი, საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ხელოვნური ინტელექტი თანამედროვეობის ერთ-ერთ უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ადამიანის წინაშე არსებული უამრავი ამოცანის ამოხსნა. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მრავალმხრივ არის შესაძლებელი, მას შეუძლია იყოს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი და გასცეს რჩევები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ადამიანები მას იყენებენ როგორც პირადი მიზნებისათვის, ასევე სამსახურში გარკვეული დავალებების შესასრულებლად. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სულ უფრო და უფრო მეტად ხდება კომპანიებში სხვადასხვა მიზნის მისაღწევად, თუმცა მიუხედავად ხელოვნური ინტელექტის მრავალი ფუნქციისა და მის მიერ დავალების საუკეთესოდ შესრულების შესაძლებლობისა, მისი სათანადო კონტროლის გარეშე გამოყენებამ, შესაძლოა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა გამოიწვიოს.

ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას თანასწორობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება წარმოადგენს, რომელიც შესაძლებელია დაირღვეს ხელოვნური ინტელექტის არასათანადო გამოყენებით. აღნიშნული სტატიაც ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით განხორციელებულ დისკრიმინაციას ეხება, რომელიც მთლიანად ორიენტირებულია შრომით სამართლებრივ ურთიერთობებზე. მოცემული სტატიის მიზანია, გამოკვეთილ იქნას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით განხორციელებული შრომითი დისკრიმინაციის პრობლემური საკითხები და შემოთავაზებულ იქნას მათი გადაჭრის შესაძლო გზები, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე სასამართლო პრაქტიკაში, რისთვისაც გამოყენებულ იქნება საქართველოს, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა და მათი სასამართლო პრაქტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შრომითი დისკრიმინაცია კანონმდებლობით აკრძალულია, როდესაც საკითხი ეხება ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებულ შრომით დისკრიმინაციას, იგი დამატებით საჭიროებს მონესრიგებას, რაზეც მეტყველებს მოცემულ სტატიაში წარმოჩენილი ცალკეულ პრობლემათა ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, შრომითი დისკრიმინაცია, ალგორითმული მიკერძოება.

შესავალი

დღეს, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სამყარო ვითარდება, ის რაც ადრე ადამიანებს წარმოუდგენელი ეგონათ,

დღეს მისი არა თუ წარმოდგენა, არამედ გამოყენებაც შესაძლებელია. ხელოვნური ინტელექტი ადამიანს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია და შესრულებული დავალება დროის სულ მცირე მონაკვეთში, ეს ყოველივე კი საშუალებას იძლევა გამოთავისუ-

ფლებული დროის რესურსი უფრო მეტად ღირებული საქმეებისთვის იქნას გამოყენებული. თუმცა, სამყაროს განვითარებისა და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის ფონზე უამრავი საკითხის მოწესრიგების საჭიროება ჩნდება. ხელოვნური ინტელექტი იქამდე წარმოადგენს გასართობ თუ უვნებელ დამხმარე საშუალებას, სანამ იგი კონფლიქტში მოვა ადამიანის უფლებებთან. ამ კონფლიქტის გადასაჭრელად კი საჭიროა საკანონმდებლო რეგულაციების არსებობა.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება აქტიურად ხდება ბიზნესში, სადაც ბიზნესმენები მთელი ძალით ცდილობენ მასში რაც შეიძლება მეტი სიახლე დანერგონ.¹ ერთ-ერთ ასეთ სიახლეს ნამდვილად წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტი, რომლის მეშვეობითაც უამრავი გადაწყვეტილება მიიღება, რომელმაც შესაძლებელია ადამიანის არაერთი უფლება დაარღვიოს.² თუმცა, მოცემული სტატიის მიზანი არ არის განიხილოს სამუშაოზე ხელოვნური ინტელექტის მიერ ადამიანის შესაძლო უფლებების დარღვევა, არამედ იგი აქცენტს აკეთებს მხოლოდ შრომით ურთიერთობებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით დარღვეულ თანასწორობის უფლებაზე, რომლის ხელყოფაც დისკრიმინაციის საშუალებით ხდება.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით დამსაქმებელს შეუძლია გადაარჩიოს კანდიდატები ვაკანსიაზე გამოგზავნილი რეზიუმეების მიხედვით, ამავედროულად მისი დახმარებით ჩაატაროს გასაუბრება, შეაფასოს დასაქმებულთა ეფექტურობა და განსაზღვროს პასიური და აქტიური თანამშრომლები, რაც შეიძლება გახდეს კონკრეტულ დასაქმებულთა სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი.³ შრომით ურთიერთობებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მრავალმხრივ არის შესაძლებელი, აღნიშნული საკითხის სათანადო მოწესრიგების

გარეშე დატოვება კი წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმით თუ ნიშნით გამოვლენის მხრივ. სწორედ ამიტომ, აღნიშნული სტატია დაეთმობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის დადგენის თავისებურებებს, ალგორითმული მიკერძოების პრობლემას, დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხს, მტკიცების ტვირთსა და ქართულ კანონმდებლობაში გარკვეულ ნორმათა შემოღების აუცილებლობაზე მსჯელობას, რომელიც განხილულ იქნება საუკეთესო საერთაშორისო კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ფონზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით კანდიდატთა შერჩევის ნაწილს.

I. ხელოვნური ინტელექტის და ალგორითმული მიკერძოების პრობლემა შრომით ურთიერთობებში

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ყოველდღიურად იზრდება კომპანიების მიერ, რაზეც მეტყველებს საერთაშორისო სტატისტიკა, რომლის თანახმად 2025 წელს მსოფლიოში არსებული კომპანიების 87 პროცენტი უკვე იყენებს ხელოვნურ ინტელექტს ყოველდღიურ საქმიანობაში, ხოლო კომპანიების 65 პროცენტზე მეტს კი უკვე აქვს ხელოვნური ინტელექტი კანდიდატთა შერჩევისათვის გამოყენებული.⁴ თუ 2023 წლისთვის ხელოვნური ინტელექტით დასაქმების ინდუსტრია 661,56 მილიონ დოლარად იყო შეფასებული, ამავე სტატისტიკის მიხედვით 2030 წელს მისი ღირებულების 1,12 მილიარდ დოლარამდე გაზრდაა ნავარაუდები.⁵ მოცემული სტატისტიკა ნათლად მიუთითებს, რომ დამსაქმებლების მხრიდან ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მომავალში კიდევ უფრო მაღალ ნიშნულს მიაღწევს, მისი დარეგულირების

¹ Ponce Del Castillo, Taes, *Artificial Intelligence and Labor Law*, Cambridge, 2025, 339.

² მაგალითად, პირადი ცხოვრების უფლება, თანასწორობის უფლება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება და სხვა, დეტ იხ. Quintavalla, Temperman, *Artificial Intelligence and Human Rights*, Oxford, 2023, 4-5.

³ Orwat, *Risks of Discrimination through the Use of Algorithms*, Berlin, 2020, 19-20.

⁴ Kumar, *How Many Companies Use AI In 2025?* (Global Data), 16.04.2025. ბოლოს შემოწმდა, 23.06.2025. <https://www.demandsage.com/companies-using-ai/>

⁵ იქვე.

საჭიროება კი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. საქართველოც მსოფლიოს ნაწილია, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალში საქართველოშიც უნდა ველოდოთ რეკრუტირებისა თუ სხვა მიზნებისათვის დამსაქმებლის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სიხშირის ზრდას, რაც კიდევ უფრო მეტად საჭიროს ხდის აღნიშნული საკითხის დარეგულირებას.⁶

იმისათვის, რომ შრომით ურთიერთობებში ხელოვნური ინტელექტისა და ალგორითმული მიკერძოების პრობლემა განისაზღვროს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია აღნიშნული ცნებების სათანადო განმარტება.

ხელოვნური ინტელექტის ცნებას არაერთი დეფინიცია მოეძებნება, ყველაზე ახლოს მდგომი განმარტება კი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს განვითარებულ კომპიუტერულ პროგრამას, რომელსაც შეუძლია იფიქროს და იმოქმედოს რაციონალურად, ადამიანის მსგავსად.⁷ ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელოვნურ ინტელექტს აქვს უნარი მიბაძოს ადამიანს აზროვნებაში, სწავლაში, მსჯელობასა თუ ინტელექტუალურ ადამიანისთვის დამახასიათებელ, ქცევებში.⁸ შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შესაძლებელია ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, როგორიც ადამიანისთვის არის დამახასიათებელი.

ხელოვნურმა ინტელექტმა, რომ შეძლოს გამართულად ფუნქციონირება, იქნება ეს გარკვეული დავალებებისა თუ მოქმედებების შესრულება, ამისათვის აუცილებელია სისტემა იყენებდეს ალგორითმს.⁹ ალგორითმი, თავის მხრივ, წარმოადგენს გარკვეული წესების ერთობლი-

ბას, რომელთა ზუსტ გამოყენებაზეც პასუხისმგებელია ხელოვნური ინტელექტი, რათა ისინი უნაკლოდ იქნას შესრულებული.¹⁰

შესაბამისად, როდესაც კომპანიები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს შრომით ურთიერთობებში გადაწყვეტილების მისაღებად, ისინი ამავედროულად იყენებენ ამ პროგრამისათვის შექმნილ ალგორითმს, რომელმაც მასში უკვე არსებული ინფორმაციისა და მიზნების საფუძველზე უნდა მიიღოს ადამიანის მსგავსი გადაწყვეტილება. კონკრეტული ინფორმაციისა და მიზნების განსაზღვრა შეუძლია უშუალოდ პროგრამისტს, რომელიც მუშაობს აღნიშნულ პროგრამაზე, ანდაც კონტრაქტორს, კომპანიის ღირებულებების, პრიორიტეტების, გამონაკლისებისა თუ გამოცდილებების მიხედვით.¹¹

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია კომპანიისათვის, იქნება ეს დროის, ენერგიისა თუ ადამიანური რესურსის დაზოგვა, თუმცა მისი გამოყენება ასევე საფრთხის შემცველიცაა, რადგან მან შეიძლება გამოიწვიოს კანდიდატთა თუ დასაქმებულთა დისკრიმინაცია. აღნიშნულის მიზეზი კი შეიძლება გახდეს ალგორითმში ჩადებული ინფორმაცია, რომლის მეშვეობითაც ხელოვნური ინტელექტი იღებს გადაწყვეტილებას.¹² ხელოვნური ინტელექტი შესაძლებელია გახდეს ე.წ. „იარაღი“ ადამიანთა დისკრიმინაციისთვის, მაშინ როდესაც ალგორითმის შემქმნელი ან კონტრაქტორი განზრახ შეიყვანს მასში დისკრიმინაციულ ინფორმაციას, რათა გადაწყვეტილება მიღებულ იქნას მიკერძოებული ინფორმაციის საფუძველზე.¹³ მაგალითად, დამსაქმებელს შეიძლება სურდეს ხელოვნური ინტელექტის მე-

⁶ ცხვედიანი, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები, 01.04.2025, ბოლოს შემოწმდა, 12.07.2025. <https://founders.ge/the-use-of-artificial-intelligence-in-georgia-challenges-and-prospects/>

⁷ Kok, Boers, Kusters, Van der Putten, Poel, Artificial Intelligence, Encyclopedia of Life supporting systems, Oxford, 2009, 1-2.

⁸ იქვე, 1-2.

⁹ Dailey, Algorithmic Bias: AI and the Challenge of Modern Employment Practices, UC Law Business Journal, 2025, 217.

¹⁰ Robb, AI vs Algorithms, 03.10.2022. ბოლოს შემოწმდა: 15.07.2025.

<https://www.eweek.com/artificial-intelligence/ai-vs-algorithms/>

¹¹ Orwat, Risks of Discrimination through the Use of Algorithms, Berlin, 2020, 17.

¹² Lutman, Artificial intelligence and the Prohibition of Discrimination in the EU: A Private Law Perspective, Završnik/Simončič, Artificial Intelligence, Social Harms and Human Rights, 2023, 77-78.

¹³ Orwat, Risks of Discrimination through the Use of Algorithms, Berlin, 2020, 11.

შვეობით კონკრეტული ნიშნის მქონე კანდიდატები შეგნებულად გამოორიცხოს მათი რასის, კანის ფერის, სქესისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით. შესაძლებელია მისი სურვილი იყოს ამ ნიშნის მქონე ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლება ან დანიშნულებაზე უარის თქმა, რის გამოც ისე მომართოს იგი, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაო უარყოფითად იქნას შეფასებული, რითაც დამსაქმებელს ექნება შესაძლებლობა შექმნას მტკიცებულება, რომელიც გაამყარებს მის მიერ მიღებულ უკანონო გადაწყვეტილებას. არც ის არის გამორიცხული, რომ უშუალოდ ხელოვნური ინტელექტის შემქმნელს ჰქონდეს გარკვეული გართულებები სხვადასხვა ნიშნის მქონე ადამიანების მიმართ, რის გამოც თავადვე უზრუნველყოს ალგორითმის დისკრიმინაციულად დაპროგრამება.¹⁴

ყველაზე ხშირ პრობლემას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ხელოვნური ინტელექტი ახდენს კანდიდატთა თუ დასაქმებულთა დისკრიმინაციულ გადარჩევას არა განზრახი, არამედ უნებლიედ მიწოდებული დისკრიმინაციული ინფორმაციის საფუძველზე, მაშინ როდესაც არც დამსაქმებელს და არც ალგორითმის შემქმნელს არ გააჩნიათ კანდიდატთა უთანასწორო გადარჩევის სურვილი, თუმცა უნებლიედ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ხელოვნური ინტელექტი იღებს დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებას.¹⁵ მაგალითად, თუ ალგორითმში მითითებულია კომპანიის წარსული პრაქტიკა დასაქმებასთან დაკავშირებით, როდესაც დამსაქმებლები კანდიდატებს დისკრიმინაციულად არჩევდნენ მათი სქესის, რელიგიისა, თუ სხვა აკრძალული ნიშნის მიხედვით, რასაკვირველია, ალგორითმიც მსგავსად იმუშავებს და მოახდენს კანდიდატთა დისკრიმინაციულ გადარჩევას.¹⁶ შესაძლებელია დამსაქმებელმა ან ალგორითმის შემქმნელმა მიუთითოს, რომ მისი

მეშვეობით მოხდეს საუკეთესო კანდიდატთა შერჩევა, თუმცა სიტყვა საუკეთესოს განსაზღვრისათვის აუცილებელია გარკვეული კრიტერიუმების არსებობა. არ არის გამორიცხული, რომ მათი მხრიდან დადგინდეს ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება მათ სტერეოტიპულ შეხედულებებსა და ცრურწმენებს, რამაც საბოლოო ჯამში დისკრიმინაცია გამოიწვიოს.¹⁷ მაგალითად, საუკეთესო კანდიდატის განსაზღვრისათვის ერთ-ერთ კრიტერიუმად შეიძლება დადგინდეს ის, თუ რამდენად სტაბილურად მუშაობდა კანდიდატი ყოფილ დამსაქმებლებთან, რათა მისმა მომავალმა დამსაქმებელმა განსაზღვროს დასაქმების შემთხვევაში კომპანიაში მისი დარჩენის სავარაუდო დრო. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი ხშირად იცვლიდა სამსახურს, დამსაქმებელმა მოახდინოს ასეთ კანდიდატთა უარყოფითი შეფასება, მაშინ როდესაც წინა სამსახურებიდან წამოსვლის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო დროებითი ავადმყოფობა, ორსულობა, მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა, დისკრიმინაცია და სხვა. მსგავსი შედეგი შეიძლება დადგეს იმ დასაქმებულის მიმართაც, რომელიც საპატიო მიზეზიდან გამომდინარე გარკვეული დროის განმავლობაში ვერ ასრულებდა სამუშაოზე დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც ხელოვნურმა ინტელექტმა იგი აღიქვას როგორც არაპროდუქტიული დასაქმებული, რაც შეიძლება გახდეს კადრების შემცირების შემთხვევაში მისი სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი.

შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტი მუშაობისთვის იყენებს ალგორითმში შეყვანილ ინფორმაციას, რომლის სარკისებრი არეკვლის უნარიც გააჩნია.¹⁸ აქედან გამომდინარე, თუ მასში ჩადებულია მიკერძოებული ინფორმაცია, დიდია ალბათობა, რომ გადაწყვეტილებაც

¹⁴ Tanna, Dunning, Bias and Discrimination, Kerrigan, Artificial Intelligence, Law and Regulations, 2022, 426-427.

¹⁵ Balayogi, Vijaya, Lakshmi, Lourdumarie, Humancentric ethical AI in the Digital World, Hassan/Bhushan/Liu/Bhattacharya, Ethical Dimensions of AI Development, 2025, 179.

¹⁶ Almeida, Junca-silva, Lopes, Lourence-Silva, Artificial Intelligence (AI), Labor Relations and Human Rights,

Machado/Davim, Challenges and Opportunities in the Artificial Intelligence Era, 2025, 50.

¹⁷ Dailey, Algorithmic Bias: AI and the Challenge of Modern Employment Practices, UC Law Business Journal, 2025, 222.

¹⁸ იქვე, 221.

მსგავსი იქნება.¹⁹ იმ შემთხვევაში თუ ალგორითმში მითითებული ინფორმაციით სამუშაოზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა ყოველთვის ერთი ჯგუფის წარმომადგენლებს ენიჭებოდათ, უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენლებს ხელოვნური ინტელექტი აღიქვამს როგორც არასასურველ კანდიდატებს ან არასასურველ დასაქმებულ პირებს, რის გამოც სხვა პირებთან შედარებით მათ უარყოფითად შეაფასებს.²⁰

ამის საუკეთესო მაგალითია კომპანია „Amazon“-ის 2018 წლის შემთხვევა, როდესაც კომპანიის წარმომადგენლებმა კადრების შესვლის მიზნით, ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, დაინყეს საუკეთესო კანდიდატთა შერჩევა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო მაქსიმალური ობიექტურობის დაცვით.²¹ თუმცა, ვინაიდან ალგორითმში მითითებული იყო მათი კომპანიის დასაქმების წარსული დისკრიმინაციული პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც მამაკაც კანდიდატებს ენიჭებოდათ უპირატესობა ქალბატონებთან შედარებით, ხელოვნურმა ინტელექტმა ამ ინფორმაციის საფუძველზე მიიღო დისკრიმინაციული გადაწყვეტილებები მამაკაცთა უპირატესად დასაქმების შესახებ, რის გამოც კომპანიამ დიდი ხნით თქვა უარი კანდიდატთა შერჩევის პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე.²²

ზოგადად, არც ის არის გამორიცხული, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა დამოუკიდებლად მიიღოს დისკრიმინაციული გადაწყვეტილება თვითგანვითარების უნარიდან გამომდინარე.²³ ასეთ დროს ვერ დგინდება ფაქტი იმის შესახებ,

რომ დამსაქმებელმა ან ალგორითმის შემქმნელმა რაიმე დისკრიმინაციული მონაცემი შეიყვანა პროგრამაში, თუმცა მიუხედავად ამისა მიღებულია დისკრიმინაციული გადაწყვეტილება²⁴, რასთან დაკავშირებითაც დეტალური მსჯელობა შემდეგ თავში იქნება წარმოდგენილი.

II. ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის დადგენის პრობლემა შრომით სამართალში

1. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ ინფორმაციის მინოდების ვალდებულება

შრომით ურთიერთობებში ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულსა და ვაკანსიით დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ ვინ შეაფასა ისინი და ვინ მიიღო მათ შესახებ გადაწყვეტილება, ხელოვნურმა ინტელექტმა თუ უშუალოდ ადამიანმა.²⁵ აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია, რადგან ინფორმაციის არ არსებობის პირობებში ადამიანებს უწინდებათ განცდა, რომ ეს ყოველივე ადამიანის, კერძოდ კი დამსაქმებლის გადაწყვეტილებით მოხდა, ვის მიმართაც სტატისტიკურად უფრო მეტი

¹⁹ Balayogi, Vijaya, Lakshmi, Lourdumarie, Humancentric ethical AI in the Digital World, Hassan, Bhushan/Liu/Bhattacharya, Ethical Dimensions of AI Development, 2025, 179.

²⁰ European Union Agency For Fundamental Rights, Bias in Algorithms, Artificial Intelligence And Discrimination, Vienna, 2022, 19.

²¹ Dustin, Insight - Amazon scraps secret AI recruiting tool that showed bias against women, 11.10.2018. ბოლოს შემოწმდა 15.07.2025.
<https://www.reuters.com/article/world/insight-amazon-scraps-secret-ai-recruiting-tool-that-showed-bias-against-women-idUSKCN1MK0AG/>

²² იქვე.

²³ Shein, Self-Improving AI Agents: Redefining Data Analysis Through Autonomous Evolution, 27.05.2025. ბოლოს შემოწმდა 05.09.2025.

<https://powerdrill.ai/blog/self-improving-ai-agents-redefining-data-analysis>

²⁴ Berktaş, Feyzöglü, Regulating AI against Discrimination: Law in the Age of Artificial Intelligence, Kılıç/ Kahyaoglu, Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence, 2023, 60.

²⁵ Salvi Del Pero, Verhagen, Ensuring Truthworthy artificial intelligence in the workplace: Countries' policy action, Bassanini/Broecke, OECD Employment Outlook 2023, 196-197.

ნდობა არსებობს, ვიდრე ხელოვნური ინტელექტის მიმართ.²⁶ ეს წარმოადგენს დიდ პრობლემას, ვინაიდან იმ შემთხვევაში თუ დასაქმებულსა და კანდიდატს არ ეცოდინებათ მათ მიმართ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თაობაზე, შესაძლოა არც კი გაუჩნდეთ ეჭვი ალგორითმული დისკრიმინაციის არსებობის შესახებ. ისინი სასამართლოში ვერ მოითხოვენ მოპასუხისგან პროგრამის გამართულად მუშაობის შესახებ მტკიცებულების წარმოდგენას, ისევე როგორც ვერ მოითხოვენ სასამართლოს მიერ პროგრამის გამართულად მუშაობის შემოწმებას, რასაც საქმისთვის უმნიშვნელოვანესი მტკიცებულების ძალა შეიძლება ჰქონდეს. თავის მხრივ, მოსამართლეს გაუჭირდება ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის დადგენა, რადგან ამ უკანასკნელამდე ვერასდროს მივა. სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია, დამსაქმებელს ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გამჭვირვალობა, რაც თავის მხრივ, დასაქმებულებსა და ვაკანსიით დაინტერესებულ პირებს დაიცავს შრომითი დისკრიმინაციისგან.

საქართველოში მოქმედებს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი“, რომლის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ავტომატიზირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა არსებობს მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატული თანხმობის შემთხვევაში. ამავე კანონის მე-13 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი კი აწესებს დამსაქმებლის ვალდებულებას მიაწოდოს დასაქმებულსა თუ ვაკანსიით დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მათ მიმართ ხელოვნური ინტელექტის

მეშვეობით მონაცემთა დამუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების ლოგიკასთან დაკავშირებით.

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ევროკავშირსაც აქვს განსაზღვრული, კერძოდ „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ (GDPR) მე-15 და 22-ე მუხლები, რომელთა დარღვევაც დაადგინა ამსტერდამის სასამართლომ კურიერებთან მიმართებაში, როდესაც კომპანია „Uber“-მა გამოიყენა თაღლითური სქემის დამდგენი პროგრამა, მათი მხრიდან თაღლითობის გამოსავლენად, რის შემდგომაც მათ შეუწყდათ სამუშაო აპლიკაციაზე წვდომის უფლება ისე, რომ ამ პირებს საკმარისად არ განემარტათ ხელოვნური ინტელექტის მიერ ავტომატიზირებული გადაწყვეტილების მიღების ლოგიკა და მისი მეშვეობით მონაცემთა დამუშავების მოსალოდნელი შედეგები.²⁷ ამ მიზეზთა გამო, ჯერ ნიდერლანდების საქალაქო სასამართლომ, შემდეგ კი სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობის ვალდებულების დარღვევა.²⁸

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მათ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით რეგულაციები ფედერაციულ დონეზე ჯერ კიდევ არ აქვთ მიღებული, თუმცა რამდენიმე შტატმა დამოუკიდებლად მიიღო კანონმდებლობა, რომელიც თითოეული დამსაქმებლისგან მოითხოვს სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას დასაქმებულთა და კანდიდატთა მონაცემების მიმართ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ.²⁹ მაგალითად, ნიუ-იორკის საქალაქო საბჭომ 2021 წლის 11 დეკემბერს მიიღო ადგილობრივი კანონი N-144,

²⁶ კომპანია „Employnic“-მა ჩაატარა 1500-ზე მეტ კანდიდატთან გამოკითხვა იმის შესახებ ენდობოდნენ თუ არა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით კანდიდატთა შერჩევის პროცესს, საიდანაც 58-მა პროცენტმა განაცხადა, რომ მათ HR-ის მიმართ უფრო მეტი ნდობა გააჩნდათ ხელოვნურ ინტელექტთან შედარებით. დეტ. იხ. Employnic, Report Reveals Candidates' Perspectives on Using AI in the Hiring Process, 24.06.2025. ბოლოს შემოწმდა 27.07.2025.

https://www.employinc.com/news_item/report-reveals-candidates-perspectives-on-using-ai-in-the-hiring-process/

²⁷ Salvi Del Pero, Verhagen, Ensuring Truthworthy artificial intelligence in the workplace: Countries' policy action, Bassanini/Broecke, OECD Employment Outlook 2023, 197.

²⁸ Drivers v. Uber B.V. Rechtbank Amsterdam 11.03.2021.

²⁹ Novikov, Using Artificial Intelligence In Employment: Problems and Prospects of Legal Regulation, Journal of Digital Technologies and Law, 2023 2/3, 625.

„ავტომატიზირებული გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტების შესახებ“, რომლითაც თითოეულ დამსაქმებელს დაევალება მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია როგორც კანდიდატებს, ასევე დასაქმებულებს, მათ მიმართ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ. იგივეა ილინოისის შტატის კანონის შემთხვევაში, „ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ვიდუო ინტერვიუს ჩატარების შესახებ“ (820 ILCS 42/1) სადაც, ასევე ითხოვენ კანდიდატთა თანხმობას ხელოვნურ ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით.

როგორც უკვე აღინიშნა, ინფორმაციის მიწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს კანდიდატებისა და დასაქმებულ პირთათვის, თუმცა მათი ინფორმირების ვალდებულებაში არ იგულისხმება მხოლოდ მათ მიმართ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, არამედ მასში ასევე იგულისხმება იმ ლოგიკის საფუძვლების განმარტებაც, რომლითაც მოხდა აღნიშნული პროგრამული საშუალებით გადაწყვეტილების მიღება.³⁰ ეს კი მათ დაეხმარებათ დაასაბუთონ ის შრომითი სარჩელები, რომლითაც ითხოვენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების დისკრიმინაციულად აღიარებას. ინტერესს იწვევს ის ფაქტიც, რომ როდესაც ხელოვნური ინტელექტი იღებს წინასახელშეკრულებო ურთიერთობის დროს პირის დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, კანდიდატს შეუძლია მოსთხოვოს დამსაქმებელს მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკის განმარტება, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც არაპროგრამული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საქართველოს შრომის კოდექსის მე-11 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელს არ აქვს ვალდებულება განუმარტოს კანდიდატს დასაქმებაზე უარის

თქმის მიზეზი. აღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით, შეიძლება გაჩნდეს იმის განცდა, რომ ალგორითმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში ვაკანსიით დაინტერესებული პირები უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ინფორმაციის მიწოდების კუთხით, ვიდრე ჩვეულებრივი გადაწყვეტილების მიღების დროს, თუმცა ეს ასე არ არის. ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკის განმარტებაში იგულისხმება არა იმ ინფორმაციის განმარტების ვალდებულება თუ რატომ ეთქვა კანდიდატს დასაქმებაზე უარი, არამედ ის თუ ზოგადად როგორ მუშაობს პროგრამა და როგორ იღებს გადაწყვეტილებას.³¹ დასაქმებაზე უარის თქმის კონკრეტული მიზეზის განმარტების ვალდებულება ამ შემთხვევაშიც არ უნდა იქნას სავალდებულოდ მიჩნეული. მაგალითად, თუ კანდიდატი ხელოვნურმა ინტელექტმა დაინუნა გამოცდილების ნაკლებობის გამო, დამსაქმებელს არ აქვს უშუალოდ ამ მიზეზის მითითების ვალდებულება, თუმცა მოთხოვნის შემთხვევაში, იგი ვალდებულია განუმარტოს კანდიდატს ის ლოგიკა, რომლითაც ალგორითმი მივიდა ასეთ გადაწყვეტილებამდე. მაგალითად, რას აფასებდა საუკეთესო კანდიდატების შესარჩევად. იქნებოდა ეს განათლება, სამუშაო გამოცდილება, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება თუ სხვა.

2. ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის თავისებურებები

ცალსახად, საკმარისი ინფორმაციის ფლობა მნიშვნელოვანია, რათა მოსარჩელემ მიმართოს სასამართლოს ქმედების დისკრიმინაციულად აღიარებისთვის, რის შემდგომაც მოსამართლემ უნდა განსაზღვროს პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის არსებობის საკითხი.

ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არსებობს მაშინ,

³⁰ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები ავტომატიზირებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებებისა და პროფაილინგის შესახებ, 27.02.2024, 10-11.

³¹ Dun & Bradstreet Austria, CJEU, Case C-203/22. აღნიშნული საქმის თანახმად, მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკის განმარტებაში იგულისხმება მხოლოდ კონკრეტული პროცედურებისა და პრინციპების ახსნა, რითაც მოხდა ავტომატური გადაწყვეტილების მიღება.

როდესაც კონკრეტულ პირს ნაკლებად კეთილგანწყობით ექცევიან მსგავს სიტუაციაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით აკრძალული ნიშნის საფუძველზე.³² შესაბამისად, პირდაპირი დისკრიმინაცია აქცენტს აკეთებს სხვადასხვა ჯგუფის წევრებს შორის არახელსაყრელ და დიფერენცირებულ მოპყრობაზე, რომელიც ხდება აკრძალულ ნიშანზე მითითებით.³³ ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის დროს ევროკავშირის სამართლისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს განზრახვის არსებობას,³⁴ აშშ-ის სამართლის სისტემისგან განსხვავებით.³⁵ ეს კი გულისხმობს იმას, რომ ალგორითმის მეშვეობით განხორციელებული პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენისათვის არ არის აუცილებელი დამსაქმებელს ან პროგრამის შემქმნელს განზრახ ჰქონდეს ალგორითმში მითითებული დისკრიმინაციული ინფორმაცია. ასეთი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში ადგილი ექნება ფარულ, პირდაპირ დისკრიმინაციას.³⁶ მაგალითად, როდესაც დამსაქმებელს არ სურს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება, მას განზრახ შეუძლია მიუთითოს ხელოვნურ ინტელექტს, რომ ასეთი პირები ნაკლები ქულით შეფასდეს, თუმცა იმ შემთხვევაში როდესაც დამსაქმებლის ან პროგრამის შემქმნელის მხრიდან განზრახ არ ხდება დისკრიმინაციული ინფორმაციის მითითება, არამედ დისკრიმინაციული მონაცემები მასში შემთხვევით არის შეყვანილი, ასეთ დროს, მიუხედავად განზრახვის არ არსებობისა, ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული ქმედება პირდაპირ დისკრიმინაციად უნდა იყოს შეფასებული, ვინაიდან ხელოვნურმა ინტელექტმა კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენელთა განსხვავება აკრძალული ნიშნის საფუძველზე მოახდინა.³⁷

რაც შეეხება არაპირდაპირ დისკრიმინაციას, ევროკავშირის სამართლის მიხედვით იგი მიჩნეულია ისეთ სიტუაციებად, როდესაც ერთი შეხედვით ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა კონკრეტულ პირებს სხვა პირებთან შედარებით განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, რასაც სამართლებრივად არანაირი გამართლება არ მოეძებნება.³⁸ ასეთ დროს, თავად მიღებული შედეგი განსაზღვრავს კონკრეტული ჯგუფის წევრების მიმართ არასათანადო, დისკრიმინაციულ მოპყრობას.³⁹ შესაბამისად, არაპირდაპირი დისკრიმინაციის შემთხვევაში ყურადღება გადადის კონკრეტული აკრძალული ნიშნის საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაციიდან, უშუალოდ დისკრიმინაციულ შედეგზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თავად აკრძალული ნიშნის არსებობიდან გამომდინარე კი არ ხდება დისკრიმინაცია, არამედ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს დისკრიმინაციული ეფექტი კონკრეტული ჯგუფის წევრებისათვის.⁴⁰ შესაბამისად, აქცენტი მთლიანად დისკრიმინაციულ შედეგზე კეთდება.

მაგალითად, თუ ალგორითმში შეყვანილია მონაცემები კომპანიის დასაქმების პრაქტიკის შესახებ, რომლის მიხედვითაც კონკრეტული რასის წარმომადგენელ ადამიანებს დამსაქმებელი სამსახურში არ იღებდა, ან იქ მომუშავე

³² Gerards, Xenidis, *Algorithmic Discrimination in Europe: Challenges and opportunities for gender equality and non-discrimination law*, Brussels, 2020, 67.

³³ იქვე, 67.

³⁴ იქვე, 67.

³⁵ Title VII federal civil rights act of 1964 cf. 42 U.S.C § 2000e, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოტივისა და განზრახვის არსებობა არის განსხვავებული მოპყრობის (პირდაპირი დისკრიმინაციის) მთავარი განმასხვავებელი, განსხვავებული გავლენისაგან (არაპირდაპირი დისკრიმინაციისგან). დეტ. იხ. Taramundi, *Discrimination by Machine-Based Decisions: Inputs and Limits of Antidiscrimination law*, Custers/Fosch-Villaronga/T.M.C.

Asser Press, *Law and Artificial Intelligence Regulating AI and Applying AI in Legal Practice*, 2022, 77.

³⁶ Gerards, Xenidis, *Algorithmic discrimination in Europe: Challenges and opportunities for gender equality and non-discrimination law*, Brussels, 2020, 70.

³⁷ თოდრია, დისკრიმინაციის სახეები, ბაქაქუჩი/თოდრია/შველიძე, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017, 125.

³⁸ Gerards, Xenidis, *Algorithmic discrimination in Europe: Challenges and opportunities for gender equality and non-discrimination law*, Brussels, 2020, 70.

³⁹ იქვე, 70.

⁴⁰ იქვე, 70.

სხვადასხვა რასის წარმომადგენლებს განსხვავებული შეფასება ეწერებოდათ, როდესაც საქმე ეხებოდა მათი დანიშნულების ან ხელფასის გაზრდის საკითხს, ასეთ ქმედებათა კვალიფიკაცია შესაძლებელია როგორც რასობრივი ნიშნით განხორციელებული პირდაპირი დისკრიმინაცია. თუმცა, თუ მაგალითი შეიცვლებოდა და ალგორითმში დამსაქმებელს მითითებული ექნებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მას აერჩია საუკეთესო კანდიდატები, რომლის განსასაზღვრავად ერთ-ერთ კრიტერიუმად ადამიანის სანდომიანი გარეგნობა იქნებოდა მითითებული, რასაც შედეგად მოჰყვებოდა კონკრეტული რასის წარმომადგენელ პირთა უკანონო გადარჩევა, ცხადია, ასეთი ნეიტრალური დებულებით, ქმედების კვალიფიცირება შესაძლებელი იქნებოდა როგორც არაპირდაპირი დისკრიმინაცია.

მიუხედავად ამგვარი კლასიფიკაციისა, ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული დისკრიმინაცია ძირითადად დაკავშირებულია არაპირდაპირ დისკრიმინაციასთან, ვინაიდან თუ ალგორითმში განზრახ არ იქნება შეყვანილი დისკრიმინაციული მონაცემები, რომელთა გაცნობის შესაძლებლობაც იარსებებს, მოსამართლეს გაუჭირდება ქმედების პირდაპირ დისკრიმინაციად კვალიფიცირება.⁴¹ როდესაც ხელოვნური ინტელექტი იღებს გადაწყვეტილებას ძნელად დასამტკიცებელია, რომ მის მიერ განხორციელებული ოპერაციები მიმართული იყო კონკრეტული ნიშნის მქონე კანდიდატების დისკრიმინაციისკენ, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ალგორითმი უამრავ ოპერაციას ასრულებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლის ფუნქციონირების გარკვევა არა თუ მოსამართლეებისთვის, ზო-

გჯერ თავად ექსპერტებისთვისაც კი შეუძლებელია.⁴² ამასთანავე, არსებობს „შავი ყუთის“ შემთხვევაც, როდესაც ვერ ხდება ალგორითმის მუშაობის სტრუქტურისა და მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკის ახსნა, ალგორითმის სირთულიდან ან პროგრამის შემქმნელის უარიდან გამომდინარე გაამხილოს ინფორმაცია პროგრამის მუშაობის შესახებ.⁴³ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხელოვნური ინტელექტის გააჩნია თვითგანვითარების უნარი, რაც გულისხმობს დამოუკიდებლად გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე.⁴⁴ ასეთ პირობებში, პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა თითქმის წარმოუდგენელია, ვინაიდან სასამართლოში უნდა დამტკიცდეს ფაქტი იმის შესახებ, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა გამოიყენა კონკრეტული აკრძალული ნიშანი, ამ ნიშნის მქონე ჯგუფის წევრების დისკრიმინაციისთვის, მაშინ როდესაც არ არსებობს ინფორმაცია პროგრამის მუშაობის სტრუქტურის, მასში ჩადებული მონაცემებისა და ხელოვნური ინტელექტის გავლილი გზების შესახებ, რომელიც მას დასჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად.

ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული ქმედების არაპირდაპირ დისკრიმინაციად კვალიფიკაციის შემთხვევაში მოცემულობა იცვლება. ამ დროს, მთელი ყურადღება გადადის იმ კონკრეტული გადაწყვეტილების შედეგზე, რომელსაც დისკრიმინაციული ეფექტი ჰქონდა რომელიმე ჯგუფის წევრისთვის.⁴⁵ აღნიშნული იძლევა უპირატესობას, რადგან ასეთ შემთხვევაში აღარ აქვს მნიშვნელობა იმის განსაზღვრას, თუ როგორ მივიდა ხელოვნური ინტელექტი დისკრიმინაციულ გადაწყვეტილე-

⁴¹ Taramundi, *Discrimination by Machine-Based Decisions: Inputs and Limits of Antidiscrimination law*, Custers/Fosch-Villaronga/T.M.C. Asser Press, *Law and Artificial Intelligence Regulating AI and Applying AI in Legal Practice*, 2022, 77.

⁴² იქვე, 76.

⁴³ Berktaş, Feyzoglu, *Regulating AI against Discrimination: Law in the Age of Artificial Intelligence*, Kılıç/ Kahyaoglu, *Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence*, 2023, 60.

⁴⁴ Shein, *Self-Improving AI Agents: Redefining Data Analysis Through Autonomous Evolution*, 27.05.2025, ბოლოს შემოწმდა 05.09.2025.

<https://powerdrill.ai/blog/self-improving-ai-agents-redefining-data-analysis>

⁴⁵ Gerards, Xenidis, *Algorithmic discrimination in Europe: Challenges and opportunities for gender equality and non-discrimination law*, Brussels, 2020, 70-71.

ბამდე და რა ტიპის ინფორმაცია დაედო მას საფუძვლად.⁴⁶ ეს ყოველივე კი იძლევა იმის საშუალებას, რომ შრომით ურთიერთობებში ალგორითმული დისკრიმინაციის დადგენისას დაძლეულ იქნას „შავი ყუთის“ პრობლემური საკითხი, საკმარისი ინფორმაციის არ არსებობის შესახებ.⁴⁷ შესაბამისად, ქმედების არაპირდაპირ დისკრიმინაციად კვალიფიკაციის შემთხვევაში აქცენტი კეთდება არა კონკრეტული ნიშნის საფუძველზე განხორციელებულ დისკრიმინაციაზე და მასთან მისვლის გზებზე, არამედ უშუალოდ დისკრიმინაციულ შედეგზე, რომელმაც კონკრეტული ჯგუფის წევრებს ზიანი მოუტანა.

მაგალითად, ვერ ხდება იმის დამტკიცება, რომ ალგორითმმა ასაკის ნიშნით მოახდინა დასაქმებულთა დისკრიმინაცია მაშინ, როდესაც პრემიები გამოუყო კომპანიაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს გარდა 50 წელს გადაცილებული თანამშრომლებისა. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ალგორითმმა უამრავი კრიტერიუმი შეაფასა გადანყვეტილების მიღებამდე, თუმცა როდესაც ვერ დგინდება ფაქტი იმის შესახებ, თუ ალგორითმმა რამდენად გამოიყენა ასაკი დასაქმებულთა შესაფასებლად, ცხადია, ასეთ პირობებში პირდაპირი დისკრიმინაცია ვერ დადგინდება. თუმცა რადგანაც მიღებული გადანყვეტილება 50 წელს გადაცილებული დასაქმებული პირებისათვის უარყოფითი შედეგის მომტანია, შესაძლებელია არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა, თუ დამსაქმებელი ვერ დაამტკიცებს მიღებული გადანყვეტილების მართებულობას.

3. სასამართლოში ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის თავისებურებები

რადგან უკვე ითქვა, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული დისკრიმინა-

ციის დასადგენად არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნა ბევრად უფრო პრაქტიკული და შედეგზე ორიენტირებულია, ინტერესს იწვევს ის საკითხი, თუ პროცესუალურად როგორ ხდება ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა სასამართლოში, აშშ-ის, ევროკავშირისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით.

აშშ-ში ალგორითმული დისკრიმინაციის დადგენა განსაკუთრებით რთულია და დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. იმისათვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოში ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული არაპირდაპირი დისკრიმინაცია დადგინდეს, მოსარჩელემ უპირველეს ყოვლისა უნდა გაიაროს სარჩელის დასაშვებობის ეტაპი.⁴⁸ დასაშვებობის ეტაპზე უნდა დადგინდეს დაცულ ჯგუფებზე პროგრამის მიერ მიღებული გადანყვეტილების უარყოფითი გავლენა რაც, თავის მხრივ, გარკვეულ კრიტერიუმებს მოიცავს.⁴⁹

1. მოსარჩელემ უნდა განსაზღვროს მის მიმართ გამოყენებული ნეიტრალური დებულება, პრაქტიკა ან პოლიტიკა.⁵⁰ ზოგადად, ნეიტრალური კრიტერიუმის განსაზღვრა არ უნდა წარმოადგენდეს რაიმე სირთულეს, რადგან ძირითად შემთხვევაში მოსარჩელებს ყოველთვის აქვთ ამის შესახებ ინფორმაცია.⁵¹ თუმცა სიტუაცია რადიკალურად იცვლება ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის შემთხვევაში, რადგან ასეთ დროს ინფორმაციის ნაკლებობიდან ან არარსებობიდან გამომდინარე, თითქმის წარმოუდგენელია, მოსარჩელის მხრიდან, სარჩელის აღძვრის საწყის ეტაპზევე, კონკრეტულად იმ ნეიტრალური კრიტერიუმის, დებულების ან პრაქტიკის განსაზღვრა, რომელიც გამოიყენა ხელოვნურმა

⁴⁶ იქვე, 71.

⁴⁷ იქვე, 74.

⁴⁸ Twomey, Labour & Employment Law Texts And Cases, Ohio, 2009, 463-466.

⁴⁹ Calderon, Unintentional Algorithmic Discrimination: How Artificial Intelligence Undermines Disparate Impact Jurisprudence, 4 Duke Law & Technology Review, 2024, 38.

⁵⁰ 42 U.S. Code § 2000e-2 - Unlawful employment practices (k)(1)(B)(i)

⁵¹ Calderon, Unintentional Algorithmic Discrimination: How Artificial Intelligence Undermines Disparate Impact Jurisprudence, 4 Duke Law & Technology Review, 2024, 38.

ინტელექტმა გადაწყვეტილების მისაღებად, მაშინ როდესაც ამის შესახებ ინფორმაცია არა თუ მოსარჩელეს, არამედ თავად დასაქმებულსაც კი შეიძლება არ გააჩნდეს.

2. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას მიაღება, რაც იმას გულისხმობს, რომ ზიანი შედეგობრივად უნდა არსებობდეს.⁵² მაგალითად, ვაკანსიით დაინტერესებული პირი არ აიყვანეს სამსახურში, რის გამოც ვერ მიიღო შემოსავალი, დასაქმებული პირი გაათავისუფლეს სამსახურიდან, რის გამოც დაკარგა ხელფასი, უარი უთხრეს მისთვის პრემიის მინიჭებაზე და სხვა.

3. შემდეგ, მას უნევს იმის განსაზღვრა, თუ მიღებული გადაწყვეტილებით რატომ არის იგი უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენებული.⁵³ ასეთ დროს, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს სხვა ჯგუფის წარმომადგენელ პირებზე, რომლებთან შედარებით მას უთანასწოროდ მოეპყრნენ.⁵⁴ მაგალითად, კონკრეტულ ნელს დასაქმებულმა არ მისცა შვებულებით სარგებლობის უფლება ქალბატონებს, მაშინ როდესაც კომპანიაში დასაქმებულმა მამაკაცებმა აღნიშნული უფლებით ისარგებლეს. მოსარჩელეს ასევე შეუძლია გამოიყენოს სტატისტიკური მონაცემებიც კონკრეტული ნიშნით დასაქმებული ადამიანების განსაზღვრად. მაგალითად, თუ კომპანიის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით დასაქმებულთა 80 პროცენტს ქალბატონები წარმოადგენენ, ცხადია მამაკაცების დასაქმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ სასამართლოში წარმოადგინონ აღნიშნული სტატისტიკა უთანასწორო მდგომარეობის წარმოსაჩენად.

4. დასაშვებობის ბოლო ეტაპზე კი მოსარჩელემ უნდა მიუთითოს მიზეზობრივი კავშირის შესახებ ხელოვნური ინტელექტის ქმედებასა და დამდგარ დისკრიმინაციულ შედეგს შორის.⁵⁵ ეს

ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსარჩელემ იცოდეს ამ პროგრამის მუშაობის სტრუქტურისა თუ ლოგიკის შესახებ, მაშინ როდესაც მის მიმართ არსებობს მოთხოვნა ნეიტრალური კრიტერიუმისა თუ პრაქტიკის ზუსტად განსაზღვრის თაობაზე, რომელიც საფუძველად დაედო დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებას. შესაძლებელია მთავარ სხდომაზე მოსამართლემ მოსთხოვოს მოპასუხეს წარმოადგინოს ხელოვნური ინტელექტის მუშაობის შესახებ ინფორმაცია და მითითებული ინფორმაციის საფუძველზე პირდაპირ განისაზღვროს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, თუმცა, მაშინ როდესაც ალგორითმის მუშაობის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება, რთულად წარმოსადგენია, მოსარჩელემ პროცესის საწყის ეტაპზევე შეძლოს მიზეზობრივი კავშირის დამტკიცება, რაც აუცილებელია სარჩელის დასაშვებად ცნობისთვის და მოპასუხისთვის მტკიცების ტვირთის შესაბრუნებლად.⁵⁶

ევროკავშირის შემთხვევაში სიტუაცია განსხვავებულია და მონესრიგებული. ევროკავშირის დირექტივის მიხედვით არაპირდაპირი დისკრიმინაციის შესახებ სასამართლოში სარჩელის შეტანისას, მოსარჩელეს არ აქვს ვალდებულება მიუთითოს ნეიტრალური პრაქტიკა, დებულება თუ კრიტერიუმი, რათა მოსამართლემ დასაშვებად ცნოს სარჩელი და მტკიცების ტვირთი გადაიტანოს მოპასუხეზე.⁵⁷ ამისათვის საკმარისია იმ კონკრეტული ფაქტების მითითება, რომლითაც აშკარად ჩანს მოსარჩელის მიმართ განსხვავებული მოპყრობა, რომელიც გამყარებული იქნება კონკრეტული მტკიცებულებით.⁵⁸ მტკიცებულება უნდა ამყარებდეს დისკრიმინაციის ფაქტს, მხოლოდ დისკრიმინაციის არსებობის მითითება არ იქნება საკმარისი არც

⁵² 42 U.S. Code § 2000e-2 - Unlawful employment practices (k)(1)(B)(i)

⁵³ Calderon, Unintentional Algorithmic Discrimination: How Artificial Intelligence Undermines Disparate Impact Jurisprudence, 4 Duke Law & Technology Review, 2024, 38.

⁵⁴ იქვე 38.

⁵⁵ 42 U.S. Code § 2000e-2 - Unlawful employment practices (k)(1)(A)(i)

⁵⁶ Texas Department of Housing and Community Affairs v. Inclusive Communities Project, Inc. The U.S. Supreme Court. 25.06.2015. თავი 20, აზ 3. <https://supreme.justia.com/cases/federal/us/576/13-1371/case.pdf>

⁵⁷ Directive 2000/43/EC, Article 8(1):

⁵⁸ Council Directive 2000/78/EC

ევროკავშირის სამართლისათვის მტკიცების ტვირთის შესაბრუნებლად.⁵⁹ თუმცა რა სახის მტკიცებულება შეიძლება იყოს საკმარისი, ევროკავშირის ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში ჩამონათვალი ზუსტად არ არის განსაზღვრული. ევროკავშირს აქვს შემუშავებული რეკომენდაცია, რომელიც პირდაპირ მოითხოვს ალგორითმული დისკრიმინაციის შემთხვევაში მტკიცების ტვირთის შებრუნება მოხდეს გამარტივებულად, მტკიცებულებათა წარდგენის სირთულიდან გამომდინარე.⁶⁰ მაგალითად, თუ მოსარჩელე მიუთითებს იმის შესახებ, რომ სამსახურში კანდიდატთა აყვანა მოხდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, რამაც გამოიწვია მისი დისკრიმინაცია, აღნიშნული არ უნდა იქნას საკმარისად მიჩნეული მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე შესაბრუნებლად, თუმცა თუ მოსარჩელე ფაქტის განსამტკიცებლად მოიყვანს სამსახურში აყვანის სტატისტიკურ მონაცემებს, სადაც გამომჩნევა კონკრეტული ნიშნის მქონე პირთა განსხვავებული მოპყრობა, ეს უკვე საკმარისად უნდა ჩაითვალოს მტკიცების ტვირთის დამსაქმებელზე შესაბრუნებლად.⁶¹

მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ სტატისტიკური მონაცემები არ არის საჯარო, ჩნდება კითხვა იმის შესახებ თუ რამდენად შეუძლია მოსარჩელეს მოიპოვოს აღნიშნული ინფორმაცია მოპასუხისგან „*Prima facie Cases*“ დასაძლევად.⁶² ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განსაზღვრა, რომ მოპასუხეს არ აქვს ვალდებულება მოსარჩელეს მიაწოდოს მასთან დასაქმებული პირების შესახებ ინფორმაცია, თუმცა აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებაზე უარი სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოსარჩელის მიერ მითითებულ სხვა ფაქტებთან ერთად და საკმარისად მიიჩნია მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე შესაბრუნებლად.⁶³

მტკიცების ტვირთის დამსაქმებელზე შებრუნების შემდეგ მოსარჩელეს არ უნევს ალგორითმის მუშაობის სისტემის გამოკვლევა, ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკის გაგება და ინფორმაციის არ არსებობის პირობებში ნეიტრალური პრაქტიკისა თუ კრიტერიუმის დადგენა, რაც მეტად გაართულებდა ქმედების დისკრიმინაციულად აღიარებას.⁶⁴ ამ დროს თავად მოპასუხეს აქვს ვალდებულება წარადგინოს მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობას, მათ შორის, მასვე მოუწევს პროგრამის მუშაობის სტრუქტურისა და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების წარმოდგენა, რაც „შავი ყუთის“ პრობლემის არსებობის პირობებში თითქმის წარმოუდგენელია.⁶⁵ აღნიშნულ მტკიცებულებათა წარმოუდგენლობის შემთხვევაში კი მოსამართლეს შეეძლება არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-7 მუხლი ევროკავშირის მსგავსად მოითხოვს ფაქტების მითითების ვალდებულებას, რომელიც სასამართლოსთვის შექმნის მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციის განხორციელების ვარაუდს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, მოსამართლეები მოითხოვენ შრომითი დისკრიმინაციის საქმეებზე მტკიცებულებათა წარდგენას მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე შესაბრუნებლად.⁶⁶ ზოგადად, დისკრიმინაციულ საქმეებზე მოსარჩელეთა მხრიდან მტკიცებულებათა წარდგენა დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ასეთი მტკიცებულებები ან არ არსებობს ანდაც მოპასუხის ხელთაა. ასეთ შემთხვევებში რთულია სარჩელში მითითებული ფაქტების

⁵⁹ Gerards, Xenidis, Algorithmic discrimination in Europe: Challenges and opportunities for gender equality and non-discrimination law, Brussels, 2020, 66, 75.

⁶⁰ Directive of the European Parliament and of the Council on adapting non-contractual civil liability rules to artificial intelligence (AI Liability Directive), 2022/0303(COD)

⁶¹ Council Directive 2000/43/EC, Article 8.

⁶² Council Directive 2000/78/EC, Article 10.

⁶³ C-415/10 – Meister, CJEU, 19.04.2012.

⁶⁴ Gerards, Xenidis, Algorithmic discrimination in Europe: Challenges and opportunities for gender equality and non-discrimination law, Brussels, 2020, 73.

⁶⁵ იქვე, 73.

⁶⁶ სუსგ №აპ-1599-2023, 2024 წლის 26 იანვარი. სუსგ №ბს-511(კ-22), 2023 წლის 7 ივნისი.

მტკიცებულებებით გამყარება, მით უმეტეს, მაშინ როდესაც საქმე ალგორითმულ დისკრიმინაციას ეხება. მოსამართლეებმა უნდა გაითვალისწინონ ამგვარი ტიპის დავისას მოსარჩელის მხრიდან მტკიცებულებათა წარდგენის სირთულეები და მათ უნდა გაამარტივონ სამართალწარმოება, რაც პირველ რიგში, მოსარჩელების მტკიცებულებათა წარდგენისაგან გათავისუფლებას ან მტკიცებულებათა წარდგენის დაბალი სტანდარტის დაწესებას გულისხმობს.

შრომით ურთიერთობებში, ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის დადგენის სამართალწარმოების დროს მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე ფაქტორი.

პირველ ფაქტორს წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე დამსაქმებლის პასუხისმგებელ პირად განსაზღვრა. მოსამართლეს უნდა ესმოდეს ამგვარი ტექნოლოგიის გამოყენების შემთხვევაში ის შესაძლო რისკები, რაც პოტენციურად შეიძლება განხორციელდეს და დაარღვიოს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებები, რომელთა შორისაა დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება. ევროკავშირმა მიიღო დირექტივა, რომლითაც მაღალი რისკის შემცველ სისტემად იქნა მიჩნეული ისეთი ხელოვნური ინტელექტი, რომლის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე.⁶⁷ მაღალი რისკი, თავის მხრივ, გულისხმობს მისი გამოყენების შემთხვევაში ადამიანის უფლებების, მათ შორის, თანასწორობის უფლების დარღვევის მაღალ ალბათობას.⁶⁸ შესაბამისად, მოსამართლემ ეს ფაქტორი საქმის სანყის ეტაპზევე უნდა მიიღოს მხედველობაში.

მეორე ფაქტორს წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის შემთხვევაში მტკიცებულებათა წარდგენის სირთულე. მოსარჩელისთვის ალგორითმის მუშაობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ მას შეიძლება განემარტოს სისტემის ზოგადი მუშაობის ლოგიკა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ზ“-ქვეპუნქტიდან გამომდინარე. ზოგიერთ შემთხვევაში თავად დამსაქმებელმაც არ იცის ალგორითმის მუშაობის სტრუქტურა, თუ როგორ მივიდა იგი კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე.⁶⁹ ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვაკანსიით დაინტერესებულ პირს დიდი ალბათობით არ ექნება ინფორმაცია მის ნაცვლად სამსახურში აყვანილი პირის შესახებ, ხოლო დასაქმებულს არ ექნება ინფორმაცია სხვა დასაქმებულთა ანაზღაურების გაზრდის ან მინიჭებული უპირატესობის შესახებ, პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობიდან გამომდინარე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“-ქვეპუნქტით. ასეთ პირობებში კი განსაკუთრებით რთულდება მოსარჩელის მხრიდან ფაქტების გასამყარებლად მტკიცებულებათა წარდგენა, რასაც ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლო მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე გადასატანად⁷⁰, ხოლო მოპასუხის მხრიდან საკმარისი მტკიცებულებათა წარმოუდგენლობის შემთხვევაში კი დისკრიმინაციის დასადგენად.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა შრომითი ურთიერთობის ყველა ეტაპზე დაადგინოს დისკრიმინაცია და მიიღოს ზომები მის აღმოსაფხვრელად. შრომის კოდექსის დაცვის მთავარ სუბიექტად კი დასაქმებულია მიჩნეული.⁷¹ ეს ყოველივე აჩვენებს იმას, თუ რა-

⁶⁷ Regulation - EU - 2024/1689.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ Berktaş, Feyzoglu, Regulating AI against Discrimination: Law in the Age of Artificial Intelligence, Kılıç/ Kahyaoglu, Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence, 2023, 60.

⁷⁰ სუსგ №ას-1599-2023, 2024 წლის 26 იანვარი. სუსგ №ბს-511(კ-22), 2023 წლის 7 ივნისი.

⁷¹ შველიძე, შესავალი, ბაქაქუროთოდრია/შველიძე, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017, 14-15.

მდენად მნიშვნელოვანია დასაქმებულთა და კანდიდატთა დისკრიმინაციისგან დაცვა. სწორედ ამიტომ, მოსამართლეს უნდა ესმოდეს ასეთ საკმეებზე მოსარჩელეთა მხრიდან მტკიცებულების წარმოდგენის სირთულე, რის გამოც მათ არ უნდა მოსთხოვოს იმაზე მეტი მტკიცებულებათა წარდგენა, ვიდრე ობიექტურად არის შესაძლებელი მსგავს პირობებში.

³² *Heller*, The Curious Article 27(3) of the UN Charter, *Opinio Juris*, 14 August 2008; *Chappell/Svoboda*, Must Russia Abstain on Security Council Votes Regarding the Ukraine Crisis?, *Lawfare*, 11 February 2022.

³³ *Kelsen*, *Peace Through Law*, The Law book Exchange Ltd. 2000, 34.

³⁴ *Simma*, The Charter of the United Nations: A Commentary, 3rd ed., Oxford 2012, 919.

procedural or substantive, which could, in turn, reopen the debate surrounding the double veto. In summary, the abstention formulation and its accompanying practice do not significantly exacerbate the global disruption caused by arbitrary vetoes; however, they create a greater risk of harm rather than providing a tangible mechanism for balancing the existing approach.

4. Responsibility of a Permanent Member of the Security Council for an arbitrary (unreasonable) Veto in Cases Involving the Violation of a *Jus Cogens* Norm

A general observation of existing practice in international law suggests that scholars have shown limited enthusiasm for attributing individual responsibility to a member of the Security Council for the exercise of its voting powers.³⁵ This approach originates largely from the judgement of the International Court of Justice in the *Namibia* and *Lockerbie* cases, where the Court held that decisions of the Security Council are adopted collectively by the organ as a whole rather than by its individual members, and therefore individual States cannot be held responsible for the votes they cast in the adoption of Security Council resolutions.³⁶ However, such reasoning is open to critique, since it focuses exclusively on the international legal personality and decision-making capacity of the Council as an institution,³⁷ while entirely disregarding the exclusive, individual status of the permanent members and the distinctive nature of the veto power. Nevertheless, the analytical framework shifts when the discussion concerns the possible violation of *jus cogens* norms by a permanent member of the Security Council in the exercise of its veto.

In the context of the relationship between *jus cogens* norms and acts of international organizations, the International Law Commission is unequivocal in affirming the primacy of *jus cogens*. Specifically, Article 16 of the Commission's Draft Articles provides that a resolution, decision, or act of an international organization which would otherwise be legally binding is void if it is contrary to a *jus cogens* norm.³⁸ Accordingly, it follows clearly from this provision that a draft Security Council resolution which is vetoed without justification and which would have served to prevent or address a violation of a *jus cogens* norm must be considered invalid. However, the practical application of this legal rule is problematic. The Security Council functions, in many respects, as a body of supra-constitutional authority, whose decisions are not subject to judicial review. This raises the crucial question: which legitimate body has the competence to determine whether a particular decision of the Council violates a *jus cogens* norm and is therefore void? The International Law Commission remains silent on this issue. This silence may be explained in two ways: first, the Commission appears to rely on the presumption that the Security Council will not adopt a decision that violates a *jus cogens* norm; and second, it may be deliberately avoiding entering the complex legal and institutional debate concerning the organizational or individual responsibility of the Security Council or its permanent members.

Issues of responsibility concerning both an international organization and a State acting within its institutional framework are addressed in another document of the International Law Commission, namely the Draft Articles on the Responsibility of International Organizations.³⁹ Article 3 concerns the international legal

³⁵ Akande, The International Court of Justice and the Security Council: Is There Room for Judicial Control of Decisions of the Political Organs of the United Nations?, *International and Comparative Law Quarterly* 46, 1997, 309; de Wet, The Chapter VII Powers of the United Nations Security Council, *Human Rights Law Journal* 25, 2004, 405; Happold, Security Council Resolution 1373 and the Constitution of the United Nations, *Leiden Journal of International Law* 16, 2003, 593; Schrijver, Reforming the UN Security Council in Pursuance of Collective Security, *Journal of Conflict & Security Law* 12, 2007, 127; Morphet, Resolutions and Vetoes in the UN Security Council: Their Relevance and Significance, *Review of International Studies* 16, 1990, 301.

³⁶ Supra Note 5, para. 22; Supra Note 25, para. 39.

³⁷ *Reparation for Injuries Suffered in the Service of the United Nations*, Draft Conclusions on Identification and Legal Consequences of Peremptory Norms of General International Law (Jus Cogens), with Commentaries, 2022, art 16.ed Nations (Advisory Opinion) [1949] ICJ Rep 174.

³⁸ *International Law Commission*, Draft Conclusions on Identification and Legal Consequences of Peremptory Norms of General International Law (Jus Cogens), with Commentaries, 2022, art. 16.

³⁹ *International Law Commission*, Draft Articles on the Responsibility of International Organizations, with Commentaries, 2011.

personality of an international organization and, accordingly, its capacity to bear international responsibility. Articles 61 and 62 address the individual responsibility of States arising from conduct carried out in the context of their membership in an international organization. However, this document cannot serve as an authoritative source of law, since it does not possess binding force and does not meet the *opinio iuris* requirement necessary for the formation of a customary rule.⁴⁰ Furthermore, Article 103 of the UN Charter establishes the supremacy of obligations under the Charter in cases of normative conflict, thereby limiting the applicability of any alternative legal framework.

Over the past two decades, numerous initiatives for veto reform have been proposed by various States, including proposals to prohibit or refrain from the use of the veto in matters involving *jus cogens* norms.⁴¹ Despite receiving support in the General Assembly, none of these initiatives have evolved into legally binding norms; thus, the protection of *jus cogens* norms continues to depend on the political will of the permanent five members. This has produced a situation that is not unfamiliar to international law, yet remains particularly complex and problematic in the context of *jus cogens* norms. On one hand, all substantive elements for a breach of an international obligation are present; on the other hand, it is extremely challenging to identify a legal mechanism capable of regulating the enforcement of such responsibility. There are general principles establishing the responsibility of international organizations for violations of *jus cogens* norms; however, these principles cannot be applied to the UN Security Council, since the Council lacks any superior or legally mandated reviewing body capable of assessing the legality of its acts. Likewise, although there are established rules governing State responsibility for violations of *jus cogens*, the positions taken by the permanent members within the Security Council fall

within the institutional legal capacity of the Council itself, and are therefore treated as collective decisions of the organ. In light of the above, and based on existing judicial practice within the UN system, there is currently no judicial or quasi-judicial mechanism capable of holding a permanent member of the Security Council legally responsible for violating a *jus cogens* norm through the arbitrary (unreasonable) use of the veto. A change to this *status quo* without amending the UN Charter would only be possible if the International Court of Justice were to agree to hear a case concerning an unjustified veto resulting in the breach of a *jus cogens* norm, and, by way of exception, recognize the possibility of individual responsibility of a permanent member arising from such conduct.

It is noteworthy that outside the United Nations system, there *does* exist judicial practice—both in the European Court of Human Rights and the International Criminal Tribunal for the former Yugoslavia—which, among other matters, has addressed questions of individual responsibility of a permanent member of the Security Council for violations of *jus cogens* norms.⁴² These decisions serve as illustrative examples of one of the critical structural issues in international law, namely fragmentation. However, they do not fully resolve the lacuna that lies at the core of the present discussion. In particular, none of these cases involved an assessment by a court or tribunal of the legality of a Security Council decision, nor of the lawfulness of the veto exercised by one of its permanent members. Accordingly, the conclusion previously set out—that there is no mechanism for attributing responsibility to a permanent member of the Security Council for a breach of a *jus cogens* norm arising from the unjustified use of the veto—unfortunately remains unchanged.

⁴⁰ UNGA Res 66/100 (9 December 2011) UN Doc A/RES/66/100.

⁴¹ UNGA, 'Enhancing the Accountability, Transparency, and Effectiveness of the Security Council' (2012) UN Doc A/66/L.42/Rev.1; UNGA, 'Letter from France and Mexico to the UN Secretary-General' (2015) UN Doc A/70/621-S/2015/978; UNGA, 'Letter from Liechtenstein to the UN Secretary-General' (2015) UN Doc A/70/621.

⁴² Al-Jedda v United Kingdom, 2011, 53 ECtHR 23, para. 102; Prosecutor v Duško Tadić (Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction), ICTY-94-1, 2 October 1995, para. 28-29; Behrami and Saramati v France and Norway, 2007, 45 EHRR SE10; Prosecutor v Furundžija (Judgment), ICTY-95-17/1-T, 10 December 1998, para. 144-157.

III. Conclusion

The United Nations, established for the purpose of maintaining international peace and security, seeks to achieve its foundational objectives through highly complex legal frameworks. Over time, however, the rigidity and inflexibility of its normative structure have become increasingly apparent. This is due to multiple factors, but primarily to the fact that the organization remains a structural legacy of the political and legal order of the Second World War. Against the backdrop of contemporary global challenges, the structure and operational rules of the UN's principal organ, the Security Council, can no longer withstand meaningful critique. The problem is not merely abstract or legal in nature: it directly affects human life and health, fundamental rights, state sovereignty, and other core values. In addition to being unrepresentative of the current international order, the Council's practice undermines fundamental principles of international law and even the norms of the Charter itself. Regrettably, the Security Council has evolved into a kind of legal semi-product: it is a political organ formally constrained by legal

norms, yet in practice, it operates almost entirely through discretion, narrowly conceived, and frequently disregards the foundational principles of law. Although the possibility that the arbitrary (unreasonable) use of the veto may result in the violation of *jus cogens* norms is unequivocal, there is no legal mechanism for attributing responsibility in such circumstances. While the UN Charter requires Security Council members to abstain in situations where they are parties to a dispute, the permanent members are able, in practice, to circumvent this obligation. Although general rules on individual and collective responsibility for *jus cogens* violations have been clearly articulated over the past two decades, these rules do not extend to the United Nations and its organs. In the absence of judicial review of the Security Council's actions, the functional strengthening of the General Assembly becomes critically important. Developments in the contemporary international arena, as well as the Assembly's recent practice, create a legitimate expectation of practical limitations on the effect of the veto power of the Security Council.

Lex F1

ლონდონში მდებარე Great Ormond Street Hospital-ი იდგა სერიოზული გამოწვევის წინაშე. ჰოსპიტალში ტარდებოდა გულის ურთულესი ოპერაციები. ნარმატებული ოპერაციის მიუხედავად, პაციენტებს ხშირად მაინც წარმოუშვებოდათ პრობლემები, საოპერაციოდან პალატაში გადაყვანის დროს. პრობლემები გამოწვეული იყო პაციენტების გადაყვანაში მონაწილე პირების ფუნქციების აღრევით, არათანმიმდევრული კომუნიკაციითა და შეფერხებებით. ზოგჯერ პაციენტების გადაყვანა ფატალურადაც კი მთავრდებოდა. ექიმები დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ გამოსავალს, სანამ შემთხვევით არ მიაგნეს მას ტელევიზორის ყურების დროს.

ყველაზე სწრაფად ამის გაკეთება მოახერხა „მაკლარენის“ გუნდმა, პილოტ ლანდო ნორისისთვის, კატარის გრანპრიზე 2023 წელს. დრომ კი შეადგინა 1.80 წამი. წინა რეკორდი ეკუთვნოდა „რედ ბულის“ გუნდს, რომელმაც ეს მოახერხა 1.82 წამში 2019 წელს. სწორედ 1.80 წამში გამოუცვალეს ლანდო ნორისის ბოლიდს საბურავები „პიტსტოპის“ დროს. 1.80 წამი იმაზე ნაკლები დროა, ვიდრე თქვენ დაგჭირდათ წინა წინადადების წაკითხვისთვის.

„ფორმულა 1“-ის „პიტსტოპის“ ტელევიზიით ყურების დროს ჰოსპიტლის ექიმებმა გადაწყვიტეს მისი წესების შესწავლა და დანერგვა პაციენტების გადაყვანის პროცესში. „ფორმულა 1“-ის „პიტსტოპის“ დროს მხოლოდ ერთი ადამიანი, ე.წ. „ლოლიპოპის“, ანუ „ნიშნის“ ოპერატორი იძლევა სიგნალს, როდის უნდა დაიძრას ბოლიდი ადგილიდან. ჰოსპიტალმა დანიშნა ანესთე-

ზიოლოგი პაციენტის გადაყვანის „გუნდის ლიდერად.“ ისევე, როგორც „პიტსტოპის“ გუნდის თითოეულ მექანიკოსს აქვს თავისი მკაფიო დავალება, ჰოსპიტლის გუნდმაც განსაზღვრა დეტალური ფუნქციები პაციენტის გადაყვანის პროცესში მონაწილე ყველა პირისთვის. შედეგად, „ფორმულა 1“-ის წესების გადმოღებამ გადარჩინა უამრავი პაციენტის სიცოცხლე. გარდა ამისა, ამ შემთხვევამ დაადასტურა, რომ ტელევიზორის ყურება ყოველთვის დროის კარგვა არ არის.

„ფორმულა 1“-ი საოცარი სამყაროა, თავის წესებით, ტრადიციებით, ცრურწმენებითა და წარმოდგენილი ადრენალინით. ის სპორტზე გაცილებით მეტია. „ფორმულა 1“-ი მაღალი ტექნოლოგიების, ადამიანური გამძლეობისა და სტრატეგიული აზროვნების მწვერვალია. „ფორმულა 1“-ი არასოდეს ჩერდება, ის მუდმივად ვითარდება და გვაჩვენებს, რომ ადამიანის შესაძლებლობებს არ აქვს საზღვარი.

„ფორმულა 1“-ის სამართლებრივი მხარე ცალკე „რბოლაა“, რომელიც ხშირად მიმდინარეობს ტრასის მიღმა, სასამართლო დარბაზებსა და დახურულ ოფისებში. იურიდიული „რბოლა“ თავისი დინამიკითა და დაძაბულობით არაფრით ჩამოუვარდება ტრასაზე გამართულ პაექრობას. თუმცა, თუ ბოლიდების რბოლას მილიონობით თვალი ადევნებს, სამართლებრივი დრამები ხშირად ჩრდილში რჩება და უხილავია ფართო აუდიტორიისთვის.

„ფორმულა 1“-ში შენ ხარ ან პირველი, ან არავინ“, - თქვა აირტონ სენამ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა. პირველობის მოსაპოვებლად გუ-

ნდები და პილოტები მიმართავენ ყველანაირ ხერხს, ზოგჯერ უკანონოსაც. მაგალითად, 2008 წელს სინგაპურის გრანპრიზე "რენოს" გუნდმა განზრახ დაამტვრია საკუთარი ბოლიდი, რათა გუნდის მეორე პილოტს მოეგო რბოლა. ამ ინციდენტს ეწოდა „Crashgate“-ი და მასთან დაკავშირებით დღემდე მიმდინარეობს სასამართლო დავა.

„ფორმულა 1“-ში ხშირია ავარიები. თუმცა, წესების თანახმად, გუნდი თავად პასუხისმგებელია საკუთარი ბოლიდის შეკეთებაზე, მიუხედავად იმისა, თუ ვისი ბრალი იყო ავარია. ტრასაზე გასვლისას ყველა გუნდი აცნობიერებს, რომ ავარია რბოლის ნაწილია. რომ არსებობდეს ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ყოველი რბოლის შემდეგ გაიმართებოდა ხანგრძლივი სასამართლო პროცესები, რაც შეაფერხებდა გუნდების ფუნქციონირებას.

„ფორმულა 1“-ის ბოლიდი, როგორც წესი, არ არის დაზღვეული ტრასაზე მომხდარი ავარიისგან, რადგან სადაზღვევო პრემია ასტრონომიულად მაღალი იქნებოდა. დაზღვევა ფარავს მხოლოდ ბოლიდის ტრანსპორტირების ან ხანძრის რისკებს. მართალია, ავარიაში დამნაშავე პილოტი არ ანაზღაურებს ზარალს, მაგრამ მას შეიძლება დაერიცხოს საჯარიმო დრო ან მოხდეს მისი დისკვალიფიკაცია შემდეგი რბოლიდან.

დავუბრუნდეთ „Crashgate“-ს. რბოლის დაწყებამდე "რენოს" ხელმძღვანელებმა მოსთხოვეს პილოტ ნელსონ პიკე უმცროსს, რომ რბოლის გარკვეულ მომენტში ბოლიდი კედლისთვის განზრახ შეეჯახებინა. მე-14 წრეზე პიკე მართლაც დაეჯახა კედელს მე-17 მოსახვევში. ამ ადგილას ტრასაზე არ იყო ამწე. ეს კი ნიშნავდა, რომ ტრასაზე გამოვიდოდა უსაფრთხოების სპეციალური მანქანა და რბოლა შეჩერდებოდა. ფერნანდო ალონსოს, "რენოს" პირველ მძღოლს, სულ ცოტა ხნით ადრე ჰქონდა გაკეთებული „პიტსტოპი“. როდესაც უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა ტრასაზე, სხვა პილოტებს მოუწიათ „პიტსტოპზე“ შესვლა. ალონსო კი, რომლის ბოლიდს სანვავით სავსე ავზი ჰქონდა, აღმოჩნდა პირველ პოზიციაზე და მოიგო რბოლა.

„Crashgate“-ი იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დადასტურდა, რომ „ფორმულა 1“-ის გუნდმა რბოლის შედეგით მანიპულირებისთვის საფრთხე შეუქმნა საკუთარი პილოტისა და სხვების სიცოცხლეს. სიმართლე მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაირკვა, როდესაც "რენომ" შეუწყვიტა ხელშეკრულება ნელსონ პიკე უმცროსს და მან შურისძიების მიზნით ყველაფერი უამბო FIA-ს (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციას). ამ შეთქმულებაში მონაწილე ყველა პირს დაეკისრა სანქცია, მათ შორის "რენოს" გუნდმა მიიღო პირობითი დისკვალიფიკაცია.

„Crashgate“-მა დიდი გავლენა მოახდინა „ფორმულა 1“-ის 2008 წლის ჩემპიონატის ბედზე. ფელიპე მასამ, რომელიც იმ მომენტში ლიდერობდა, „პიტსტოპზე“ ქაოსის გამო დაკარგა ქულები, რაც საბოლოოდ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ფასად დაუჯდა (სერ ლუის ჰემილტონმა მოიგო ჩემპიონის პირველი ტიტული მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით). ამჟამად ინგლისის სასამართლოში მიმდინარეობს ფელიპე მასას სარჩელის განხილვა, რომელიც ითხოვს 2008 წლის შედეგების გადახედვას (*Felipe Massa v Formula One Management Limited & Ors* [2025] EWHC 3064 (KB)). ფელიპე მასას მიაჩნია, რომ სინგაპურის გრანპრის შედეგები საერთოდ უნდა გაუქმდეს. გარდა ამისა, ის ითხოვს ზიანის ანაზღაურებას 64 მილიონი ფუნტის ოდენობით.

„ფორმულა 1“-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ავარია მოხდა 1997 წელს და იგი გამოიწვია მაიკლ შუმახერმა. ხერესის (ესპანეთი) ფინალურ რბოლამდე შუმახერი ლიდერობდა ჩემპიონატს 78 ქულით, ხოლო მისი მთავარი კონკურენტი, ჟაკ ვილნევი ("უილიამსი" გუნდი), მას მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებოდა. ვინც უფრო მაღალ ადგილს დაიკავებდა ესპანეთში, ის გახდებოდა ჩემპიონი.

რბოლის 48-ე წრეზე ჟაკ ვილნევმა სცადა გასწრება ერთ-ერთ მოსახვევში. ვილნევმა შიდა ტრაექტორია დაიკავა და უკვე წინ იყო, როდესაც შუმახერმა მკვეთრად მოუხვია და დაეჯახა ვილნევის ბოლიდს. შუმახერის "ფერარი" დაზიანდა, ქვიშაში აღმოჩნდა და გამოეთიშა რბოლას. მიუხედავად დაზიანებული რადიატორისა,

ვილნევემა შეძლო რბოლის გაგრძელება. მან დაიკავა მესამე ადგილი და მოიპოვა 4 ქულა, რაც ჩემპიონობისთვის საკმარისი იყო.

თავდაპირველად შეჯახება მიიჩნიეს "სარბოლო ინციდენტად." თუმცა, საზოგადოებრივი წნეხისა და რბოლის ჩანაწერების დეტალური შესწავლის შემდეგ დაიწყო გამოძიება. დადგინდა, რომ შუმახერი განზრახ დაეჯახა კონკურენტს, რბოლიდან მისი გამოთიშვის მიზნით. შუმახერს ჩამოერთვა 1997 წლის ჩემპიონატის ყველა ქულა და მეორე ადგილი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც პილოტს გაუუქმეს მთელი სეზონის შედეგები მსგავსი დარღვევის გამო.

„ფორმულა 1“ არა მხოლოდ სიჩქარის, არამედ უდიდესი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების ბრძოლაა. ხშირად გუნდები ყველანაირი ხერხით ცდილობენ ინფორმაციის მოპოვებას კონკურენტების ტექნიკური საიდუმლოებების შესახებ.

„ფორმულა 1“-ის გუნდები იშვიათად აპატივტებენ ახალ ტექნოლოგიებს. „ფორმულა 1“-ის ტექნოლოგიები ვითარდება ძალიან სწრაფად. გარდა ამისა, პატენტის აღების შემთხვევაში ინფორმაცია ტექნოლოგიის შესახებ გახდება საჯარო. კონკურენტი გუნდები შეძლებენ მის შესწავლას და გაუმჯობესებას. ამის ნაცვლად, „ფორმულა 1“-ის გუნდები იცავენ ახალ ტექნოლოგიებს ე.წ. „ნოუ-ჰაუს“ („კომერციული საიდუმლოების“) სამართლებრივი რეჟიმით. თუმცა, ზოგჯერ გუნდები იპარავენ კონკურენტების ტექნოლოგიებს. „ფორმულა 1“-ში ჯაშუშობის პრობლემაზე საუბრობდა ენცო ფერარი, თავის ავტობიოგრაფიაში „ჩემი საშინელი სიხარული. ჩემი ცხოვრების ისტორია.“

„ფორმულა 1“-ში „ჯაშუშობის“ ყველაზე გახმაურებული შემთხვევაა ე.წ. „Spygate“ (2007 წელი), როდესაც „ფერარის“ მთავარმა მექანიკოსმა გადასცა „მაკლარენის“ მთავარ კონსტრუქტორს 800-გვერდიანი საიდუმლო ტექნიკური საბუთები „ფერარის“ ბოლიდის შესახებ. „ფერარის“ მთავარმა მექანიკოსმა ამ გზით შური იძია კომპანიაზე, რომელმაც უარი უთხრა დანიინაურებაზე.

ჯაშუშობის ფაქტი მას შემდეგ გახმაურდა, რაც „მაკლარენის“ მთავარი კონსტრუქტორის მეუღლემ გადაიღო „ფერარის“ დოკუმენტების

ასლები ჩვეულებრივ მაღაზიაში. წარმოშობით იტალიელმა თანამშრომელმა შენიშნა საბუთებზე „ფერარის“ ლოგო, გადაიღო საბუთების კიდევ ერთი ასლი და დაუკავშირდა იტალიურ გუნდს. ამ შემთხვევას მოჰყვა გამოძიება, რომლის შედეგად „მაკლარენს“ დაეკისრა 100 მილიონი აშშ დოლარის ჯარიმა. გარდა ამისა, „მაკლარენის“ გუნდს სრულად ჩამოერთვა 2007 წლის კონსტრუქტორთა თასის ყველა ქულა. „ფერარის“ გუნდმა კი აჩუქა მაღაზიის თანამშრომელს „ფერარის“ ახალი ავტომანქანა.

„ვარდისფერი მერსედესი“-ს საქმე გახმაურებული შემთხვევაა „ფორმულა 1“-ის ისტორიაში, რომელიც დაკავშირებულია სხვა გუნდის ინტელექტუალური საკუთრების უნებართვო გამოყენებასთან. 2020 წლის „ფორმულა 1“-ის სეზონზე გუნდმა „Racing Point“ (ახლანდელი „Aston Martin“) წარადგინა ახალი ბოლიდი, რომლის დიზაინი თითქმის იდენტური იყო „მერსედესის“ 2019 წლის ბოლიდის. „Racing Point“-ის ბოლიდი იყო ვარდისფერი, მთავარი სპონსორის ლოგოს ფერის მიხედვით.

„ფორმულა 1“-ის რეგლამენტით, ბოლიდის დიზაინის გარკვეული ნაწილები გუნდმა თავად უნდა შექმნას და არ აქვს უფლება, სხვა გუნდისგან შეიძინოს ან დააკოპიროს. „სამუხრუჭე არხები“ სწორედ ამ კატეგორიაში შედიოდა. „Racing Point“-ს კი „სამუხრუჭე არხების“ დიზაინიც ჰქონდა კოპირებული. საინტერესოა, რომ პრეტენზია გამოთქვა არა „მერსედესმა“, არამედ „რენოს“ გუნდმა. „Racing Point“ ამტკიცებდა, რომ დიზაინი შექმნეს ფოტოების მიხედვით, რაც წესებით აკრძალული არ იყო.

გამოძიებამ დაადგინა, რომ „Racing Point“-მა მართლაც გამოიყენა „მერსედესი“-ს ბოლიდის დიზაინი. „Racing Point“-ი დააჯარიმეს 400000 ევროთი და ჩამოაჭრეს 15 ქულა კონსტრუქტორთა თასზე. ამ შემთხვევას მოჰყვა წესების გამკაცრება: აიკრძალა სხვა ბოლიდის დიზაინის კოპირება სკანერებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. უცნობია, რა გავლენა მოახდინა მანქანის ეგზოტიკურმა ფერმა ამბის გახმაურებაზე. თუმცა, „Racing Point“-ის იმედი, რომ ვარდისფერი ბოლიდი არ მიიქცევა ზედმეტ ყურადღებას „ფორმულა 1“-ის

ტრასაზე, აშკარად მეტისმეტად ოპტიმისტური გამოდგა.

2020 წელს პილოტმა სერ ლუის ჰემილტონმა მოიგო ბრიტანეთის გრანპრი. თუმცა, გამარჯვებისთვის ჰემილტონს მოუწია ფიზიკის კანონების დარღვევა. მისი გამარჯვება კი შევიდა „ფორმულა 1“-ის ისტორიაში.

ბრიტანეთის გრანპრის ფინალურ წრემდე ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა. სერ ლუის ჰემილტონი, იმ დროისთვის მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი, დამაჯერებლად ლიდერობდა. თუმცა, ბოლო წრის დაწყებისას, ჰემილტონის ბოლიდის მარცხენა წინა საბურავმა სიმტკიცე დაკარგა და გასკდა. მაყურებლის თვალწინ გაცოცხლდა სურათი, სადაც უძლეველი ბოლიდი დაემსგავსა დაჭრილ ცხოველს.

ნაგლეჯებად ქცეული საბურავი შანსებს არ უტოვებდა პილოტს. სერ ჰემილტონს წინ ნახევარი წრე ჰქონდა გასავლელი, ხოლო უკან მას მისდევდა გააფთრებული მაქს ფერსტაპენი, რომელიც ყოველ წამს ამცირებდა დისტანციას. ეს აღარ იყო მხოლოდ რბოლა. ეს იყო ბრძოლა პილოტის ნებისყოფასა და დაზიანებულ ბოლიდს შორის. სერ ჰემილტონი მანქანას არა მხოლოდ საჭით, არამედ ინსტინქტით უფრო მართავდა. ყოველ მოსახვევში მისი ბოლიდი გადაბრუნების ზღვარზე იყო, მაგრამ პილოტის სიმშვიდე და ოსტატობა ფიზიკის კანონებზე მაღლა დადგა.

როდესაც ბოლიდმა მხოლოდ სამი საბურავით გადაკვეთა ფინიშის ხაზი, სამყარო წამით დადუმდა. სერ ლუის ჰემილტონმა დაამტკიცა, რომ ჩემპიონებს არა მხოლოდ სრულყოფილი ტექნიკა, არამედ განსაცდელის დროს გამოვლენილი უდრეკი სული ქმნის. ეს არ იყო უბრალოდ გამარჯვება. ეს იყო ადამიანის შესაძლებლობების საუკეთესო გამოვლინება, რომელმაც ყველაზე გამოუვალ მდგომარეობაშიც კი იპოვა გზა დიდებისკენ. „ფორმულა 1“-ის ისტორიაში ეს გამარჯვება შევიდა, როგორც "სამი ბოლის ლეგენდა."

ფიზიკის კანონების დამარცხების შემდეგ სერ ჰემილტონმა სთხოვა თავის გუნდს, რომ დაზიანებული საბურავი ერუქებიანათ მისთვის, სუვენირის სახით. საკმაოდ მოკრძალებული თხოვნაა იმ ადამიანისგან, რომელმაც მოახდინა

ნამდვილი სასწაული მთელი მსოფლიოს თვალებში. სამწუხაროდ, სერ ჰემილტონს უთხრეს უარი, იმ სპეციალური წესების გამო, რომლებიც მოქმედებს „ფორმულა 1“-ის საბურავებთან მიმართებაში.

საბურავები არ ეკუთვნით „ფორმულა 1“-ის გუნდებს. საბურავები მათ გადაეცემათ მხოლოდ დროებით სარგებლობაში, თითოეული რბოლის წინ. გარდა ამისა, საბურავების რეზინის შემადგენლობა კომპანია „პირელის“ კომერციული საიდუმლოებაა. 2011 წლიდან „პირელი“ „ფორმულა 1“-ის საბურავების ექსკლუზიური მიმწოდებელია.

„ფორმულა 1“-ის საბურავების დამზადების პროცესი იწყება „პირელის“ მაღალტექნოლოგიურ ქარხანაში. თითოეულ საბურავს აკრავენ უნიკალურ შტრიხკოდს. გუნდებმა არ იციან, კონკრეტულად რომელი საბურავი შეხვდებათ. „ფორმულა 1“-ში მოქმედებს სპეციალური წესები, რომ საბურავების განაწილება მოხდეს შემთხვევითობის პრინციპით. ეს გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს, რომ „პირელიმ“ შესაძლოა რომელიმე გუნდს "უკეთესი" საბურავი მიანდოს.

საბურავები ჩააქვთ რბოლის ადგილზე სპეციალური ტემპერატურული კონტროლის მქონე კონტეინერებით. ერთი სეზონის განმავლობაში „პირელი“ დაახლოებით 40000-მდე საბურავს აწვდის „ფორმულა 1“-ს. რბოლის დასრულებისთანავე ყველა გამოყენებული და გამოუყენებელი საბურავი უბრუნდება „პირელის“. სპეციალური დანადგარებით საბურავებს ჭრიან, რათა მათი ხელახლა გამოყენება ან შესწავლა შეუძლებელი გახდეს. ჰემილტონის დაზიანებულ საბურავსაც იგივე ბედი ეწია. იგი უბრალოდ დაჭრეს. თუმცა, „პირელიმ“ გადასცა ჰემილტონს სპეციალური ჯილდო: მცირე ზომის სამახსოვრო საბურავი.

1982 წლის პილოტების გაფიცვა ალბათ იყო ერთ-ერთი ყველაზე უცნაური მოვლენა „ფორმულა 1“-ის ისტორიაში. ამ გაფიცვამ სამუდამოდ შეცვალა ძალთა ბალანსი მმართველ ორგანოსა და პილოტებს შორის.

1982 წელს „ფორმულა 1“-ის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს შემოეღოთ ბოლიდების პილო-

ტებისთვის ე.წ. „სუპერ-ლიცენზია.“ მისი პირობებით, პილოტებს ეკრძალებოდა გუნდიდან გუნდში გადასვლა ხელშეკრულების დასრულებამდე. ფაქტობრივად, პილოტები ხდებოდნენ გუნდების "საკუთრება", ყოველგვარი თავისუფალი არჩევანის გარეშე.

ბევრმა პილოტმა გამოთქვა უკმაყოფილება ახალი წესების გამო. ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო მსოფლიოს მაშინდელი ორგზის ჩემპიონი, ნიკი ლაუდა. ვარჯიშის ნაცვლად, ლაუდა და სხვა პილოტები ავტობუსით წავიდნენ ერთ-ერთ სასტუმროში. ისინი ჩაიკეტნენ დიდ დარბაზში და მთელი ღამე გაათენეს, რომ არც ერთი პილოტი მალულად არ გასულიყო ტრასაზე. „ფორმულა 1“-ის ორგანიზატორები იმუქრებოდნენ, რომ ყველა გაფიცულ პილოტს ელოდებოდა სამუდამო დისკვალიფიკაცია.

საბოლოოდ, გუნდების მფლობელები და ორგანიზატორები წავიდნენ დათმობაზე. "სუპერ-ლიცენზიის" ყველაზე დრაკონული პუნქტები ამოიღეს. რბოლა ჩატარდა, თუმცა პი-

ლოტებს მოგვიანებით მაინც დააკისრეს სიმბოლური ჯარიმები და დროებითი დისკვალიფიკაცია (რომელიც მალევე გაუქმდა). ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როდესაც „ფორმულა 1“-ის პილოტებმა აჩვენეს, რომ მათ გარეშე „ფორმულა“ ვერ იარსებებდა და ნიკი ლაუდას ლიდერობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ნიკი ლაუდა აღწერს გაფიცვის დეტალებს თავის ავტობიოგრაფიაში „გზა ჯოჯოხეთამდე და უკან: ავტობიოგრაფია.“

„ფორმულა 1“ მაღალი ტექნოლოგიებისა და სპეციფიკური სამართლებრივი მონესრიგების უნიკალური სინთეზია, სადაც გამარჯვება არა მხოლოდ ასფალტის საფარზე, არამედ იურიდიულ ლაბირინთებშიც იჭედება. პირველობისთვის ჭიდილში მთელი გუნდია ჩართული: პილოტები, მენეჯერები, ინჟინრები და ტექნიკოსები. თუმცა, თავისი როლი იურისტებსაც აქვთ. ისინი არიან „უხილავი პილოტები“, რომლებიც სამართლებრივ რბოლებში იცავენ გუნდების ინტერესებს.

ლევან ნანობაშვილი

► პრივატიზაცია, როგორც საჯაროსამართლებრივი აქტი

- პრივატიზაცია განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება და იგი არ წარმოადგენს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობას. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამოვა როგორც კერძო პირი, როგორც ურთიერთობის თანასწორი მონაწილე.
- სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე N: ბს-827-789(გ-07))

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21 „ზ“ და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21 მუხლები

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე 1992 წლიდან ცხოვრობდა ქ. თბილისის ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, რომელიც სამხედრო უწყების საკუთრებას წარმოადგენდა. მან ამავე წლის 29 ივლისს კანონით დადგენილი წესით მოახდინა თავის კანონიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართის პრივატიზება, რის შემდეგაც თავდაცვის სამინისტროსთან დადო ხელშეკრულება სანოტარო წესის დაცვით.

2002 წლის 19 სექტემბერს მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მესამე პირმა, რომელიც მოსარჩელის მიერ აღნიშნულ სახლში გადასვლისას, 1992 წლისთვის, საცხოვრებელი სახლის მხოლოდ სხვენში იყო ჩანერილი და იქ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში არ უცხოვრია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველოს მიერ 2002 წლის 16 ივლისს გაცემული ნებართვის საფუძველზე ამავე წელს გაცემული სანოტარო აქტით მოახდინა ზემოაღნიშნული სახლის სხვენის, როგორც საცხოვრებელი ფართის, ასევე დამხმარე ფართის პრივატიზება. აღნიშნულის შედეგად დაირღვა, მოსარჩელის, როგორც მესაკუთრის კანონიერი უფლებები და ინტერესები.

მოსარჩელის აზრით, თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველოსა და მესამე პირს შორის გაფორმებული 2002 წლის 16 სექტემბერს დადებული გარიგება საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის შესახებ, მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებას წარმოადგენდა. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს უფლება ჰქონდა მოეხდინა მხოლოდ მესამე პირის მიერ დაკავებული სხვენის პრივატიზება, თუმცა აღნიშნულ ფართთან ერთად პრივატიზებით გაიცა დამხმარე ფართიც, რაც დაუშვებელი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სა-

ქმეთა კოლეგიას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26 I და II მუხლის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია 2007 წლის 27 ივლისის განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას და წარდგენილი სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა: მოცემულ შემთხვევაში, მთავარი განსახილველი საკითხი ეხებოდა იმას, თუ რამდენად შეიძლება შესაბამისი ფართის პრივატიზება, რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული ფართი ორდერში მითითებულ ფართს, იყო თუ არა შესაძლებელი საერთოდ აღნიშნული ფართის პრივატიზება, მოქმედებდნენ თუ არა ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილების ფარგლებში, კანონის შესაბამისად. დავის საგანს აგრეთვე წარმოადგენდა პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა. აღნიშნული ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველო. სადავო ხელშეკრულების ობიექტი (საცხოვრებელი სახლი) განეკუთვნებოდა თავდაცვის სამინისტროს, ანუ სახელმწიფოს საკუთრებას, კერძოდ საუწყებო ბინას და სასამართლოს მოსაზრებით, მისი განკარგვა კონკრეტულმა პირმა განახორციელა სწორედ შესაბამისი უწყების, სახელმწიფოს სახელით, რის გამოც აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორც საცხოვრებელი ფართის პრივატიზების კლასიკური შემთხვევა, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი იყო სასამართლოსათვის, რათა მიეჩნია იგი ადმინისტრაციული წესით განსჯად საქმედ. მოცემული დავის განხილვისას სხვა ნორმატიულ კანონმდებლობასთან ერთად გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 1107 დადგენილება, რაც ასევე გარკვეულწილად წარმოადგენდა მის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად (გარიგებად) მიჩნევის პირობას.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობა: უზენაესმა სასამართლომ საქმის შესწავლის, განსჯადობის საკითხის გამორკვევის შედეგად მიიჩნია, რომ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადასცემოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ვინაიდან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი და შესაბამისად, ამ სამართალურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი - ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

უზენაესი სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21 „ზ“ მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ამოსავალ ელემენტს წარმოადგენს მისი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

აღნიშნული ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ ფიზიკური პირი (*მესამე პირი*) და ადმინისტრაციული ორგანო - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველო. სადავო ხელშეკრულების საგანი - ბინა განეკუთვნებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებას და იგი სახელმწიფოს სახელით განიკარგა. ხელშე-

კრულების დადების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის ¹107 დადგენილება, რომლითაც მოწესრიგებულია საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) განხორციელების პირობები.

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა - პრივატიზაცია - სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზაციის პროცესი არ არის კერძო-სამართლებრივი ურთიერთობა და ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამოვა როგორც კერძო პირი, როგორც ურთიერთობის თანასწორი მონაწილე. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადობას არ გამოირიცხავს ის გარემოება, რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მასში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო ამორიცხა საქმიდან. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობისათვის განმსაზღვრელია დავის ადმინისტრაციული შინაარსი, რაც ამ შემთხვევაში სახეზე იყო. რაც შეეხება მხარეთა სწორ განსაზღვრას, აღნიშნულ საკითხზე უნდა ემსჯელა განსჯად სასამართლოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადასცემოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სოფიკო ზარანდია

► სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურება

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურებისათვის არ არსებობს მისი სასყიდლიანობის პრეზუმფცია
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საერთო კრების კომპეტენციაა და წევრობა მისი მოთხოვნის უფლებას ავტომატურად არ წარმოშობს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე: №ას-243-2020)

მენარმეთა შესახებ კანონის 1994 წლის რედაქცია

ფაქტობრივი გარემოებები: მოპასუხე კომპანია სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირებულია 1998 წლიდან. საზოგადოების მმართველობის ორგანოს წარმოადგენდა სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო იყო აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა კრებაზე, რომელიც უფლებამოსილი იყო, აერჩია სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და გადაეწყვიტა საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი, ყველა გადაწყვეტილება მიიღებოდა კენჭისყრით. სამეთვალყურეო საბჭო შედგებოდა სამი წევრისაგან და მათი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრებოდა 4 წლის ვადით.

მოსარჩელები 2013 წლის 16 აგვისტოს დაინიშნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. ამავე კრებაზე, აქციონერთა გადაწყვეტილებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრა დარიცხული 880 ლარის ოდენობით, ანუ თითოეული წევრის წლიური ანაზღაურება შეადგენდა 10 560 ლარს.

აქციონერთა კრების 2015 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შეუწყდათ შრომის ანაზღაურება.

მოსარჩელებმა სარჩელი შეიტანეს სასამართლოში მოპასუხე კომპანიის მიმართ და მოი-

თხოვეს მოპასუხის აქციონერთა საერთო კრების 2015 წლის 9 მარტს მიღებული ოქმის ბათილად ცნობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის შრომის ანაზღაურების შეწყვეტის ნაწილში და, თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ, თანხის - 5 904.51 ლარის დაკისრება (ანაზღაურება 2015 წლის 9 მარტიდან 2015 წლის 1-ელ ოქტომბრამდე არსებული პერიოდისთვის).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის აქციონერთა საერთო კრების 2015 წლის 9 მარტის ოქმი, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის შრომის ანაზღაურების შეწყვეტის ნაწილში. მოპასუხეს თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2015 წლის 9 მარტიდან 2015 წლის 1-ელ ოქტომბრამდე გადაუხდელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების - 5 904.51 ლარის გადახდა. მოპასუხემ აღნიშნული გადაწყვეტილებაზე შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომელიც სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს და განმარტა, რომ ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნა გამართლებულია, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივ ჩარჩოში მოექცევა საზოგადოებასა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა. მოთხოვნა შესაბამეობა როგორც მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონს, ასევე, შრომის კოდექსის 1 II და 2 I მუხლებს. იმ პირობებშიც, თუ სადავო ურთიერთობა მონესრიგდება დავალების ხელშეკრულების ნორმებით, სკ-ის 710 I და II მუხლის საფუძველზე სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მხარეები შეთანხმებული იყვნენ ანაზღაურებაზე, უდავოა, რომ 2013 წლის 16 აგვისტოდან 2015 წლის 1-ელ ოქტომბრამდე ისინი

იყვნენ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და მათ 2015 წლის 9 მარტის შემდგომ ანაზღაურება არ მიუღიათ, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომელიც სსკ-ის 391V ა) მუხლის საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი, თუმცა იგი სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაუსაბუთებლობის საფუძველით.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობა: უზენაესი სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების შეწყვეტის თაობაზე საერთო კრების 2015 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების კანონიერება.

შესაბამისად, წინამდებარე დავის ფარგლებში განმარტებას ექვემდებარებოდა ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოს - საერთო კრების კომპეტენციას სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, კერძოდ, ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი, მისი დანიშვნა, შემცირება, შეწყვეტა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთო კრება სს-ის მართვის უმაღლესი ორგანოა, რომელზეც აქციონერები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ. მიუხედავად ამისა, მისი უფლებები კანონით ზუსტადაა განსაზღვრული და, ამავე დროს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრებისაგან განსხვავებით საკმაოდ შეზღუდულია¹. მხედველობაშია საერთო კრების კომპეტენციის „ენუმერაციულობა“, რაც ნიშნავს, რომ კანონის მუხლი კონკრეტულად შეიცავს იმ უფლებამოსილების ჩამონათვალს, რომელიც ამ ორგანოს აქვს მიკუთვნებული².

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54 VI მუხლი განსაზღვრავდა საერთო კრების

¹ იხ.: ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, გვ. 373.

² იხ.: ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), თბილისი, 2013, ს.ფ. 212).

კომპეტენციას. აქციონერთა საერთო კრება არა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის საკითხს წყვეტს, არამედ მას საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხის დადგენისა და გადაწყვეტის კომპეტენციაც აქვს. სასამართლომ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა ავტომატურად არ წარმოშობს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამდენად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურებისათვის არ არსებობს მისი სასყიდლიანობის პრეზუმფცია. ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საერთო კრების კომპეტენციაა.

ანაზღაურების გარეშე საქმიანობა კი, არ არის საბჭოს წევრის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. უსასყიდლოდ მუშაობა, თავის მხრივ, არ ნიშნავს, რომ მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე (მაგ.: მივლინების ხარჯები და ა. შ.). შესაძლოა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურება განისაზღვროს განსაზღვრული თანხის ფარგლებში, ასევე, დაშვებულია მიბმული იყოს კორპორაციის მოგებაზე და განისაზღვროს მოგებიდან პროცენტის მიცემით³. ძირითადად გამოყოფენ ალტერნატიულად ან კუმულაციურად მყარად განსაზღვრულ ყოველთვიურ ხელფასს ან მოგების მიღებაში მონაწილეობის უფლებას.⁴ ანაზღაურება შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი.

არსებობს შემთხვევები, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოებისაგან ანაზღაურებას საერთოდ არ იღებენ, თუმცა უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვთ დანიშნული და, შესაბამისად, მათი საქმიანობა სასყიდლიანია.

არსებობს მოსაზრება, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების სამართლებრივი

საფუძველი არ არის სახელშეკრულებო, რადგან საერთო კრება კანონით უფლებამოსილი, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება⁵. ასევე არსებობს მოსაზრება, საკითხი ე. წ. „პრინციპალ-აგენტის“ ურთიერთობის ჩრდილში იქნას განხილული. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება დავალების მიმცემისა და მისი მიმღების ეკონომიკურ-სამართლებრივ ურთიერთობაზეა დაფუძნებული.

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურებას მოიხსენიებს „შრომის ანაზღაურების“ საკითხად, შინაარსობრივად ეს არ არის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ხელფასი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება არ ექვემდებარება შრომის კოდექსის შესაბამისად მოწესრიგებას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხის დამდგენ ცენტრალურ ნორმას ქართულ სამართალში წარმოადგენს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54 VI თ) მუხლი. კანონი ზოგადად უთითებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ, შესაბამისად, საკმარისად მიიჩნევს საერთო კრების წერილობით გადაწყვეტილებას ანაზღაურების შეწყვეტის ან მისი მოცულობის შემცირების თაობაზე, რასაც, თავის მხრივ, წესდებაში სათანადო ცვლილება არ სჭირდება. ამასთან, არ არის დაკონკრეტებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების საკითხის დროში მოქმედების კონტექსტი, რაც შესაბამის განმარტებებს მოითხოვს და განაპირობებს მის მართებულობას.

შედარებისთვის, სასამართლომ მიუთითა გერმანიის სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის (*Aktiengesetz*) 113-ე პარაგრაფზე, რომელიც არეგულირებს სამეთვალყურეო საბჭოს

³ იხ.: ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, გვ. 383, 384.

⁴ იხ.: ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, საკორპორაციო, საბანკო და

ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), თბილისი, 2013, ს.ფ.290).

⁵ Drygala in: Schmidt, K./Lutter, AktG, 4. Aufl. 2020, § 113 AktG, 2. Herabsetzung, Rn26.

წევრის ანაზღაურების (*Vergütung*) საკითხს, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საქმიანობისათვის შეიძლება იღებდნენ ანაზღაურებას. ეს შეიძლება, განსაზღვრული იყოს წესდებაში ან გადაწყდეს აქციონერთა საერთო კრებაზე. ის უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინაშე მდგარი ამოცანებისა და კომპანიაში არსებული მდგომარეობის თანახმად. სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისას/დაკომპლექტებისას საერთო კრების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული მისი წევრების ანაზღაურების საკითხი.

პრაქტიკაში პრობლემატურია საერთო კრების მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების შემცირების/შენეცვტის გადაწყვეტილების დროში მოქმედება, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ გადაწყვეტილება ფიქსირებული ანაზღაურების შემცირების შესახებ შეიძლება შეეხებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხებს მხოლოდ მომავალი სამეურნეო წლისათვის⁶. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, რომელიც სამეურნეო წლის დასაწყისში უკვე იკავებს ფიქსირებულ პოზიციას, წარმოეშობა უფლება ანაზღაურებაზე⁷. სამეურნეო წლის დასაწყისში იმის ცოდნა, რომ მიმდინარე წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მიიღებენ ფიქსირებულ ანაზღაურებას, ეფუძნება მათ ნდობას, რომელიც უნდა გამართლდეს⁸.

ბუნებრივია, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს საზოგადოების ადაპტირება გაუარესებულ ეკონომიკურ მდგომარეობასთან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების, მიმდინარე წელს, შემცირების გზითაც⁹.

საერთო კრების მიერ ანაზღაურების შემცირების/შენეცვტის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას არ სჭირდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა თანხმობა¹⁰. ამასთან, საერთო კრების მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების შემცირების/შენეცვტის შემთხვევაში საბჭოს წევრები არ არიან ვალდებული, დაემორჩილონ ამ გადაწყვეტილებას და გააგრძელონ შემცირებული ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე თავიანთი მოვალეობების შესრულება. საერთო კრების მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ითვლება საპატიო მიზეზად, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უფლებამოსილია, დატოვოს საბჭო.¹¹

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ პირობებში, როცა მოწინააღმდეგე მხარეთა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად არჩევის მომენტში წევრობა იყო ანაზღაურებადი და საერთო კრების გადაწყვეტილებით ანაზღაურება განისაზღვრა ფიქსირებული ფორმით, პრეზუმირებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მოლოდინი საზღაურის მიღებაზე. შესაგებლით შედავებული არ ყოფილა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მხრიდან ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულების ფაქტი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ანაზღაურება შეუწყდათ მიმდინარე სამეურნეო/კალენდარულ წელს - 2015 წლის 9 მარტიდან და ისინი სამეთვალყურეო წევრის უფლებამოსილებას ახორციელებდნენ 2015 წლის 1-ელ ოქტომბრამდე, შესაბამისად, სადავო გადაწყვეტილება შეეხებოდა სწორედ 2015 წლის 9 მარტიდან 2015 წლის 1-ელ ოქტომბრამდე არსებულ პერიოდს. მოპასუ-

⁶ LG München I 5. Kammer für Handelssachen, Entscheidungsdatum: 30.08.2012; 5 HK O 1378/12, 5 HKO 1378/12.

⁷ LG München I 5. Kammer für Handelssachen, Entscheidungsdatum: 30.08.2012; 5 HK O 1378/12, 5 HKO 1378/12. Rn 65; *Habersack* in: Münchener Kommentar zum AktG, 3. Aufl., Rdn. 36 und 34 zu § 113; *Mertens* in: Kölner Kommentar zum AktG, 2. Aufl., Rdn. 34 zu § 113; *Hopt/Roth* in: Großkommentar zum AktG, a. a. O., Rdn. 96 zu § 113; *Hoffmann-Becking* in: Münchener Handbuch des Gesellschaftsrechtes, Band 4, Aktiengesellschaft, 3. Aufl., § 33 Rdn. 23.

⁸ *Drygala* in: Schmidt, K./Lutter, AktG, 4. Aufl. 2020, § 113 AktG, 2. Herabsetzung, Rn26.

⁹ LG München I 5. Kammer für Handelssachen, Entscheidungsdatum: 30.08.2012; 5 HK O 1378/12, 5 HKO 1378/12. Rn65; ასევე იხ.: *Hüffer*, AktG, a. a. O., Rdn. 6 zu § 113; *Breuer/Fraune* in: Heidel, Aktienrecht und Kapitalmarktrecht, a. a. O., Rdn. 9 zu § 113.

¹⁰ *Drygala* in: Schmidt, K./Lutter, AktG, 4. Aufl. 2020, § 113 AktG, 2. Herabsetzung, Rn26.

¹¹ *Israel* in: Bürgers/Körber, Aktiengesetz, 4. Aufl. 2017, § 113 Vergütung der Aufsichtsratsmitglieder, 4. Herabsetzung der Vergütung, Rn.19.

ხემ ვერ მიუთითა საზოგადოების/კორპორაციის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ამსახველ გარემოებებზე, რაც აუცილებელს გახდიდა საზოგადოების ადაპტირებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების მიმდინარე წელს შეწყვეტის გზით. შესაბამისად, მიმდინარე სამეურნეო/კალენდარულ წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაუ-

რების შეწყვეტა არ შეიძლებოდა შეფასებულიყო კანონიერ და კორპორაციის ინტერესების შესაბამის მოქმედებად. სასამართლოს მიერ საზოგადოების სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობა იყო მართებული. შესაბამისად, სასამართლომ კასატორს სწორად დააკისრა მოწინააღმდეგე მხარეთა სასარგებლოდ მიუღებელი ანაზღაურების გადახდა.

სოფიკო ზარანდია